საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 24 სექტემბერი. 2019 წ. №189 (8855) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

თუ დაკითხვა გახდება საჭირო, პრეზიდენტიც დაიკითხება

თუ დაკითხვა გახდება საჭირო, პრეზიდენტიც დაიკითხება და ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქეც შეიძლება დაიკითხოს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა გია ვოლსკიმ შეწყალების საკითხზე საუბრისას განაცხადა.

გია ვოლსკის თქმით, პირადად ის გამორიცხავს კორუფციის შესაძლებლობას, თუმცა აცხადებს, რომ საბოლოო პასუხი საქმეზე გამოძიებამ უნდა თქვას.

„ადამიანები, რომლებსაც საერთოდ ყურადღება არ მიუქცევიათ შეწყალებებისთვის, რასაც საკაშვილი ახდენდა, შეუსაბამოს ნებისმიერ სტანდარტთან, მათ შორის მკვლელების, ასევე მარგველაშვილი — იგივე მიმართულებით, როგორ გამოიჩინა თავი, თუმცა როდესაც ჩვენ ამას ვაკრიტიკებდით, ისევე როგორც სალომე ზურაბიშვილს, მაშინ ამას ორკესტრირებულ შეტევას უწოდებდნენ. აქედან გამომდინარე, არც იმ ადამიანების პათოსის და გრძნობის მჯერა, რომლებიც ახლა ამბობენ, რომ ეს არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს. საზოგადოების ინტერესების მოყვანა არგუმენტებში ჩვენი ოპონენტების მიერ, არის უზნეობა, ფარსი და ძალიან უნიჭოდ გათამაშებული სპექტაკლი“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.



მთავრობისთვის პრიორიტეტულია ქვეყნის სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნა

საქართველოს მთავრობა მიესალმება მსოფლიო ბანკთან ეფექტურ და ნაყოფიერ თანამშრომლობას, რომლის ფარგლებში ქვეყანამ მნიშვნელოვანი დაფინანსება მიიღო, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორ სებასტიან მოლინეუსთან შეხვედრისას განაცხადა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა მსოფლიო ბანკის მხარდაჭერას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ქვეყანაში ინფრასტრუქტურის საგრძნობლად გაუმჯობესება, ასევე — მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის სფეროში და რეგიონული და მუნიციპალური განვითარების მიმართულებით. პრემიერის განცხადებით, საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია ქვეყნის სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნა და, შესაბამისად, რეგიონული დატვირთვის პროექტებს უდიდესი ყურადღება ეთმობა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო მთავრობის ეკონომიკური რეფორმების გაგრძელების მნიშვნელობას, რაც საქართველოში არსებული ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

საუბრისას, დადებითად შეფასდა პარტნიორობა განვითარების პოლიტიკის ოპერაციების (DPO) ფარგლებში, რასაც წვლილი შეაქვს ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობასა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. პრემიერ-მინისტრმა და მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა 2019-2022 წლების პარტნიორობის ჩარჩოს ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

დიმიტრი გაბუნია: პრეზიდენტს ვუთხარი, რომ შეწყალებულ პატიმართა სია არის მიუღებელი!!!

2

„გაიყრებიან“ თუ არა ეკონომიკა და ენერგეტიკა?

4

„ქართული ოცნება“ საკუთარი არაპროფესიონალიზმის გადაფარვას სტრუქტურული ცვლილებებით ცდილობს

ზაალ ანჯაფარიძე: 6

პოლიტიკა, როგორც რინგი...

9

გერმანელი ტურისტი: ბათუმის ავტოსადგურში ვნახე სიბნელე და სიბინძურე

5

კომპანია, რომელიც მუდამ ქართულ საქმეს აკეთებს!

მაგთიკომი MAGTICOM

თაღლითობა „მაგთიკომის“ სახელით

„მაგთიკომი“ თაღლითობის მცდელობის შესახებ მომხმარებლებს აფრთხილებს.

კომპანიის ინფორმაციით, კვლავ ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, რომ თამაშდება ტელეფონი Samsung Galaxy S10 შემდეგი ტექსტით: **„გილოცავთ! თქვენ ხართ ერთ-ერთი იმ 20 მომხმარებლიდან, რომლებიც ჩვენ შევარჩიეთ Samsung Galaxy S10-ის გათამაშებაში მონაწილეობის მიზნით!“.**

კომპანიის ცნობით, ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

„მაგთიკომი გაფრთხილებთ, რომ ეს თაღლითობის მცდელობაა, ინფორმაცია მოგების შესახებ მცდარია. გთხოვთ, გამოიჩინოთ სიფრთხილე და თქვენს პირად მონაცემებს ნუ გაუზიარებთ უცხო პირებს. გაითვალისწინეთ, რომ „მაგთიკომის“ გათამაშებებსა და კონკურსებზე ინფორმაცია ყოველთვის ვრცელდება ჩვენი ოფიციალური „ფეისბუქისა“ და ვებგვერდის საშუალებით. არ ენდოთ უცხო წყაროებს გადამოწმების გარეშე!“.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური გერმანიის ელჩს შეხვდა

შინაგან **საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩს — ჰუბერტ ქნირშს შეხვდა. ვახტანგ გომელაურმა ელჩს მადლობა გადაუხადა გერმანული მხარის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.**

შეხვედრაზე მხარეებმა საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება განიხილეს.

შეხვედრის მონაწილეებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს საქართველოსა და გერმანიის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობა. შინაგან საქმეთა მინისტრმა და გერმანიის ელჩმა სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს და ხაზი გაუსვეს ორი ქვეყანის საპოლიციო თანამშრომლობის განვითარებაში პოლიციის ატაშეების როლს.

ვახტანგ გომელაურმა ჰუბერტ ქნირშს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შენარჩუნების კუთხით უწყებაში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო.

მიხეილ ბატიაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს მართავს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი საქართველოს დელეგაციასთან ერთად, ამ დღეებში (22-25) სექტემბერს ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში ევროპული ხარისხის განერგვისა და საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე პროექტის ფარგლებში შეხვედრებს მართავს.

გუშინ დელეგაციამ შეხვედრები გამართა ევროკომისიის წარმომადგენლებთან, სადაც საქართველოში ზოგადი, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით ევროპული მოდელის დანერგვისა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხები“ განიხილეს. განათლების სამინისტროს ცნობით, საქართველოში მიმდინარე კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, ზოგადი განათლების მიმართულებით, ევროპული მოდელის დანერგვა, მათ შორის „ახალი სკოლის მოდელის“ სახით საჯარო სკოლებში უკვე მიმდინარეობს.

რაც შეეხება უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მიმართულებებს, ინტერნაციონალიზაციის კუთხით უკვე დაწყებულია მჭიდრო თანამშრომლობა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ევროპული ორგანიზაცია EURA\ESS, ევროპის სამეცნიერო ორგანიზაცია EUROSCAIENCE და ევროპულ სამეცნიერო ფონდი ESF.

დიმიტრი გაბუნია: პრეზიდენტს ვუთხარი, რომ შეწყალებულ პატიმართა სია არის მიუღებელი!!!

საზოგადოება **შეცდომაშია შეყვანილი და შემდეგ, ყველა ადამიანის მიმართ, ვინც ეს დაგეგმა, სარჩელით უმკაცრესად, კანონის სრული პასუხისმგებლობით მოვითხოვ ცილისწამებისთვის და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის პასუხისგებას, —** ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა დიმიტრი გაბუნიამ პრეზიდენტის მიერ რამდენიმე მსჯავრდებულის შეწყალებასთან დაკავშირებულ საკითხზე კომენტირებისას აღნიშნა.

როგორც გაბუნიამ თქვა, მიესალმება გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებას და აცხადებს, რომ აპირებს აქტიურად ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

„კატეგორიულად მიუღებელია თითის გაშვერა საპარლამენტო მდივნისკენ. ამისთვის ადმინისტრაციაში არსებობს შესაბამისი დეპარტამენტი, ეს არის შეწყალების დეპარტამენტი, რომელსაც ჰყავს თავისი კურატორი ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, რომელიც ჩემი ინფორმაციით, თვეების განმავლობაში, დაკავებული იყო სიის შედგენით. ჩემი საქმიანი რეპუტაცია 20 წლის განმავლობაში იყო ადვოკატი, მე ყოველთვის მედიასთან და საზოგადოებასთან ერთად ვიყავი და ძალიან მძიმეა ჩემთვის, როდესაც ეს სიაც კი არ ვიცი, სახელებს ვიგებ მედიიდან. მეც მაინტერესებს, საზოგადოებასთან ერთად, ვინ შეადგინა ეს სია, ვინ დაუდო ეს სია პრეზიდენტს და რატომ მოხდა ეს. მე თათბირზე პრეზიდენტსაც ვუთხარი, რომ ეს სია არის მიუღებელი. პრეზიდენტმა მიპასუხა, რომ ეს მისი დისკრეციული უფლებაა და მე ამაზე პასუხი ვერ მივიღე“, — განაცხადა დიმიტრი გაბუნიამ.

კითხვაზე, არის თუ არა შეწყალების საკითხზე პასუხისმგებელი ანგი ხუციშვილი, დიმიტრი გაბუნიამ აღნიშნა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ აპირებს საუბარს და კანონის დარღვევას.

„სულმოუთქმელად ველოდები შალვა თადუმაძის უწყებაში მისვლას, რათა ყველაფერი ღიად ვთქვა. ვის დასჭირდა ჩემი სახელისა და გვარის გასვრა, ეს უკვე მე მაინტერესებს. იურისტთა ჯგუფი, ადვოკატთა ჯგუფი მუშაობს. მიმდინარეობს, ჩემი მოთხოვნით, დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებაც ამასთან დაკავშირებით. მე ამ საკითხს ასე არ დავტოვებ. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჩემთვის. ასეთი ტერორი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ჩემი ოჯახის წევრები და ჩემი სამეგობრო არიან განადგურებული. ასე არ შეიძლება თითის დადება, ვის ინტერესში იყო ჩემი სახელისა და გვარის დასახელება, არ არის გამორიცხული პროკურატურას მივმართო, რომ გამოიძიოს. ეს ყველაფერი რომ მორჩება და დასრულდება, დარწმუნებული ვარ, ღმერთისა და ადამიანების წინაშე ვარ ცამდე მართალი, საზოგადოება რომ არის შეცდომაში შეყვანილი, აი მერე, ყველა იმ ადამიანისგან, ვინც ეს დაგეგმა, ვინც ეს გააჟღერა, სარჩელით, უმკაცრესად, კანონის სრული პასუხისმგებლობით მოვითხოვ ცილისწამებისთვის და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის პასუხისგებას. რას გავაკეთებ, თქვენთვის ღია იქნება, მედიისთვის. მე შეიძლება ბევრი ეჭვი მქონდეს, მაგრამ ვიდრე არ დავიკითხები, ვერ გაგცემთ პასუხს“, — განაცხადა გაბუნიამ.

არჩილ თალაკვაძე: პარლამენტი მზად არის, შეწყალების საკითხზე პრეზიდენტთან ითანამშრომლოს

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძეს მიაჩნია, რომ საჭირო პატიმართა შეწყალების მიმართულებით კანონმდებლობის დახვეწა, რათა განისაზღვროს შეწყალებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები.**

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მმართველი გუნდი მიესალმება პრეზიდენტის მიერ თანამშრობლობის შესახებ სურვილს.

„შეწყალება არის პრეზიდენტის დისკრეციული უფლება, ეს არის კონსტიტუციით და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება, შესაბამისად ჩვენ მივესალმებით მისი მხრიდან თანამშრომლობის სურვილს, თუ საჭიროა. როგორც ჩანს, საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა ამ მიმართულებით, რომ უფრო კონკრეტულად განისაზღვროს კრიტერიუმები შეწყალებასთან დაკავშირებით და პარლამენტი მზად არის, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან ითანამშრომლოს“.

თეა წულუკიანი: პასუხს გაგვცემს გამოძიება

კითხვებს, რომლებიც გაჩნდა მკვლელების, ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულების შეწყალებასთან დაკავშირებით, პასუხებს გასცემს გამოძიება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა. თეა წულუკიანის თქმით, შეწყალების თემასთან დაკავშირებით მისი მთავარი სათქმელი უკვე თქვა.

„ახლა გამოძიება მიმდინარეობს. დღეს როგორც თქვენ, ასევე მეც უნდა დავაკვირდეთ ამ პროცესს, რათა იმ კითხვებს, რაც გაჩნდა მკვლელების, ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირების შეწყალებასთან დაკავშირებით, გაეცეს პასუხები. ამ კითხვებს პასუხებს გასცემს გამოძიება, შესაბამისად დღეს ამ თემაზე დამატებითი კომენტარი ან ნაადრევი, ან უადგილო იქნებოდა“, — აღნიშნა თეა წულუკიანმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რას ფიქრობს იუსტიციის მინისტრი იმის თაობაზე, რომ შეწყალების საქმეში დიმიტრი გაბუნიას გვარი ფიგურირებს და დაიბარებენ თუ არა მას დაკითხვაზე, წულუკიანმა განაცხადა.

„ამის შესახებ ყველაზე მეტი გამომძიებელმა იცის. შეწყალების სიაში არის არა მარტო 109-ე მუხლით მსჯავრდებული სამი მკვლელი, როგორც საზოგადოებამ იცის, არის 260-ე მუხლი, ნარკოდანაშაული, არის ქურდობის, ყაჩაღობის მუხლები და ეს ყველაფერი საზოგადოებისთვის ნელ-ნელა უფრო დეტალურად გახდება ცნობილი. ზოგადი ინფორმაცია ამის შესახებ საზოგადოებამ უკვე იცის“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

ნადირაშვილის წყარო ახლობლის შეწყალებით თავადაც ყოფილა „დაინტერესებული“

შეწყალების **საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში გენერალურმა პროკურატურამ დეპუტატი ირმა ნადირაშვილი გამოკითხა. „ევროპული საქართველოს“ წევრმა არ თქვა, საიდან იცის პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დიმიტრი გაბუნიას სავარაუდო დანაშაულის შესახებ, თუმცა გამოძიებას მის ხელთ არსებული ინფორმაცია დეტალურად გააცნო.**

ნადირაშვილის თქმით, ადამიანი, რომელიც მას გაბუნიას სავარაუდო დანაშაულის შესახებ ესაუბრა, თავადაც იყო დაინტერესებული, პრეზიდენტს მისი ახლობელი შეეწყალებინა. ირმა ნადირაშვილი წყაროზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ დიმიტრი გაბუნია პირადად წარმართავდა ფინანსურ მოლაპარაკებებს იმის თაობაზე, თუ ვინ და რა ფასად უნდა შეეწყალებინათ.

„დამიკავშირდა წყარო და მითხრა, რომ ინფორმაციის მოწოდება სურდა. მან მითხრა, რომ თვითონაც სურდა, დახმარებოდა მის ერთ-ერთ ახლობელ ოჯახს, რისთვისაც ერთ-ერთ ადვოკატს დაუკავშირდა. მას უთხრეს, რომ კონტაქტი ხდება ერთ-ერთ პარტნიორთან, რომელსაც მიაქვს ამბავი გაბუნიასთან, პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი ფულს იღებს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მსჯავრდებული პენიტენციურ დაწესებულებას დატოვებს. ისარგებლა თუ არა ჩემმა წყარომ ამ სქემით, ჩემთვის უცნობია“, — განაცხადა ირმა ნადირაშვილმა. გუშინვე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, შესაწყალებელთა სია ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ შეადგინა.

◎ სახელი

ივანე ბერიტაშვილის გამორჩეული მოწაფე

ალექსანდრე როიტბაკი (1919-1991)

მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ-ფიზიოლოგს ალექსანდრე როიტბაკს წელს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ქართველი ფიზიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამსახურებული მეცნიერი, პროფესორი, ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და სამეცნიერო საბჭოს წევრი **ალექსანდრე ილიას ძე როიტბაკი** დაიბადა 1919 წლის 17 თებერვალს უკრაინაში, ქ. ოდესაში.

1941 წ. მან დაამთავრა კიევის სამედიცინო ინსტიტუტი. 1944 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. ა. როიტბაკი იყო დიდი ქართველი ფიზიოლოგის, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფე.

1960 წლიდან ალექსანდრე როიტბაკი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თავის ტვინის ქერქის ზოგადი ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1968 წელს კი, ა.როიტბაკი იყო არჩეული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ალექსანდრე როიტბაკი 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი პირველი სტატია გამოქვეყნდა 1947 წელს, ხოლო პირველი წიგნი „თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის ბიოელექტრული ეფექტები“ – 1955 წელს.

ალექსანდრე როიტბაკის ძირითადი შრომები ეხება ცენტრალური ნერვული სისტემის ნეიროფიზიოლოგიისა და ელექტროფიზიოლოგიის საკითხებს. მან შეისწავლა თავის ტვინის ქერქის პირდაპირი პასუხები და დაასაბუთა დენდრიტულ პოტენციალთა პოსტსინაფსური ბუნება. მან აღმოაჩინა, რომ ქერქის რიტმული ელექტრული გაღიზიანებისას მასში შეიძლება ჩამოყალიბდეს აგზნების კერა – „დომინანტა“. დაადგინა, რომ ადამიანის რეაქციის დრო დაკავშირებულია სუნთქვის ფაზებთან, დაამტკიცა თავის ტვინის ქერქში ხანგრძლივ ელექტრულ პოტენციალთა წარმოშობაში ნეიროგლიის მონაწილეობა. ალექსანდრე როიტბაკი არის პირობითი რეფლექსების საფუძვლის დროებითი კავშირების წარმოშობაში ნეიროგლიის როლის ჰიპოთეზის ავტორი.

ა. როიტბაკის უნიკალური კვლევები თავის ტვინის ფიზიოლოგიაში აღიარებულია მთელი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ.

1960 წლიდან ა. როიტბაკი იყო თავის ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი.

ალექსანდრე როიტბაკი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

ალექსანდრე როიტბაკი 72 წლის ასაკში უბედური შემთხვევის გამო მოულოდნელად გარდაიცვალა 1991 წლის 24 დეკემბერს თბილისში. სამწუხაროდ, მისი მრავალი მეცნიერული იდეა და ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოში რიგით 66-ე საზოგადოებრივი ცენტრი ქობულეთში გაიხსნა

რეგიონებში საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა გრძელდება. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა 66-ე საზოგადოებრივი ცენტრი ამჯერად ქობულეთში გახსნა.

იუსტიციის მინისტრმა ქობულეთის მცხოვრებთ და ქალაქის სტუმრებს ახალი ცენტრის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ წელს საზოგადოებრივი ცენტრები ხულოსა და ქედაშიც გაიხსნება.

საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე ზურაბ სანიკიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ქობულეთის თვითმმართველობისა და საკრებულოს წევრები, მოწვეული სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა. იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები ადგილობრივთა საჭიროებებზეა ორიენტირებული. მომხმარებელი ადგილზე 200-ზე მეტ სახელმწიფო და კერძო სერვისს მიიღებს. ქობულეთის საზოგადოებრივი ცენტრი ქალაქისა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 50 ათასზე მეტ მოქალაქეს მოემსახურება. ქობულეთის საზოგადოებრივი ცენტრი აჭარაში რიგით მეოთხეა. ქობულეთის გარდა, ცენტრები ფუნქციონირებს შუახევში, ჩაქვსა და მუხაესტატეში.

„ქართულ ეკონომიკაში ყველაფერი საუკეთესო ისმის, თუმცა ქვეყანა „გრძელვადიან გაჭირვებაშია“

თანამედროვე **გეოპოლიტიკური ტენდენციებია: მსოფლიო წესრიგის ცვლილება. ტრანსნაციონალური საფრთხეების ზრდა, ლტოლვილების კრიზისი, გლობალური სტატუს კვოს საფრთხის შემცველი ქვეყნების ზრდა, ენერგეტიკული რესურსების დეფიციტი, ფინანსური ბაზრის არამდგრადობა, პოპულიზმის გლობალური ტალღა, სავაჭრო კონფლიქტები და შეთანხმებების ცვლილება. აღსანიშნავია, რომ თითოეული რისკი იზოლირებულია ერთმანეთისგან. თუმცა თითოეული ფაქტორის პირდაპირ თუ ირიბ გავლენას ყველა ქვეყანა გრძნობს. მათ შორის საქართველოც.**

ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზრის ფსიქოლოგიაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საუდის არაბეთში, ნავთობპროდუქტის ქარხანაზე უპილოტო მოწყობილობის თავდასხმამ, რომლის წილად მსოფლიო ნავთობის მიწოდების 5 % მოდის. აღნიშნულმა ინციდენტმა დაადასტურა ნავთობპროდუქტების გადამმუშავებლების დაუცველობა. შესაბამისად ასახვა პოვა სიმძლავრეების დაკარგვასა და ფასების ზრდაზე. მსოფლიო ეკონომიკის შენელების მოლოდინის ფონზე, ბაზარზე აღინიშნა ნავთობის გლობალური მარაგებით შევსების მზაობა. დღეს, აშშ და სხვა სახელმწიფოები მზადაა, არ დაუშვან ნავთობპროდუქტების დეფიციტი და შესაბამისად ფასების ზრდა.

სამწუხაროდ, მსოფლიოში ეკონომისტთა ნაწილი გლობალურ ეკონომიკურ აპოკალიფსა და მდგომარეობის გართულებას პროგნოზირებს. საუბრობს გლობალური რეცესიის სიმკაცრეზე. აღნიშნავს მსოფლიოს რეკორდულ ვალებს, აქტივებზე გაბერილ ფასებს და საკრედიტო ბაზრის არასწორ შეფასებას.

არსებული მოცემულობის ფონზე, უნდა აღინიშნოს საქართველოს მოწყვლადობა გლობალური კრიზისების მიმართ. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ სუსტია ქვეყნის მზაობა და დაბალია წინმსწრები მუშაობა. მართალია, ქართულ ეკონომიკაში ყველაფერი საუკეთესო ისმის, თუმცა ქვეყანა „გრძელვადიან გაჭირვებაშია“. აღსანიშნია ისიც, რომ ქვეყანაში გვაქვს მცირე ეკონომიკა და ღია ბაზარი სუსტი მართვით, სოციალური რისკები, ძველი პოლიტიკური კლასი და გაღარიბებული ინტელექტუალური საზოგადოება.

მოსალოდნელი საფრთხეების ფონზე საქართველო ვალდებულია, აამაღლოს კრიზისებისადმი მზაობა, გაზარდოს საკუთარ რესურსებზე დამოკიდებულება, მდგრადი გახადოს პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო.

რატი აბულაძე,
ეკონომიკის დოქტორი

ქვეყნის და ხალხის მოამაგე

სახელოვანი მამულიშვილის ვასილ მჟავანაძის ხსოვნის აღსანიშნავად

ვასილ მჟავანაძე და ამირან მექვაბიშვილი

ასოციაცია „მესხეთმა“ გულთბილად აღნიშნა სახელოვანი ქართველი მამულიშვილის, ღირსეული პიროვნებისა და ერის ერთგული მოამაგის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მჟავანაძის დაბადების დღე.

საიუბილეო ღონისძიების ორგანიზატორებმა მოინახულეს ვასილ მჟავანაძის საფლავი თბილისის საბურთალოს სასაფლაოზე, გვირგვინით შეამკეს იგი, დაუნთეს სანთელი, შემდეგ თბილისის ტურიზმის აკადემიაში გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას უძღვებოდა ასოციაცია „მესხეთის“ პრეზიდენტი **ამირან მექვაბიშვილი**.

ბატონმა ამირანმა ისაუბრა ვასილ მჟავანაძის მაღალზნეობრივ თვისებებზე, პატრიოტულ დამოკიდებულებაზე საერო საქმეებთან დაკავშირებით, მის დიდ ღვაწლზე ქართველი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ მჟავანაძის დროინდელი საქართველოს კომპარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები – ასოციაცია „მესხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი **გურამ გუნავა, ნოე ჩაგუნავა, გიორგი წითლანაძე, უშანგი დალალიშვილი, ლიანა ხმალაძე, ვაჟა ბერიძე,** განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ლილი მექვაბიშვილი** და სხვები.

მათ ისაუბრეს ამაგდარი პიროვნებისა და ერის წინაშე დიდი დამსახურების მქონე მამულიშვილის ვასილ მჟავანაძის საქმიანობაზე, მის დაუვიწყარ დამსახურებაზე მთლიანად საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე. აღინიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ქვეყანაში გაიხსნა და აშენდა მრავალი სამრეწველო საწარმო, კულტურის ობიექტი, მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ერის სამეურნეო და კულტურული აღორძინების საქმეს.

სხდომაზე ითქვა, რომ დღეს მისი დამსახურება ქართველი ხალხისგან მეტ ყურადღებას მოითხოვს.

ზურაბ ლომიძე

„ᲒᲐᲘᲧᲠᲔᲑᲘᲐᲜ“ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ?

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐᲡ ᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ

„ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ წინმსწრები ტემპით უნდა ვითარდებოდეს, რათა ეკონომიკის განვითარება დამამუხრუჭებელი არ გახდეს. დღეს იმდენად სერიოზული პრობლემებია ენერგეტიკაში, რომ წინმსწრები ტემპებით კი არა, ელექტროენერგიის მოხმარების ტემპებსაც ვერ მიჰყვება ენერგიის წარმოების ტემპი“, — ასე აფასებს ენერგეტიკის სექტორში შექმნილ ვითარებას „ქართული ოცნების“ წევრი **რევაზ არველაძე**.

სწორედ რევაზ არველაძემ მიმართა წერილით პრემიერ-მინისტრ **გიორგი გახარიას** ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან ენერგეტიკის სამინისტროს გამოყოფის შესახებ. საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი აცხადებს, რომ მთავრობამ სერიოზული შეცდომა დაუშვა, როდესაც ენერგეტიკის სამინისტრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეუერთა. მისი თქმით, ენერგეტიკაში მდგომარეობა არასახარბიელო იყო, ხოლო სამთავრობო ცვლილებების შემდეგ, კიდევ უფრო არასახარბიელო გახდა.

„ენერგეტიკა არის ის დარგი, რომელიც არის ქვეყნის ხერხემალი, რადგან ენერგეტიკული უზრუნველყოფის გარეშე ვერც ერთი დარგი ვერ იარსებებს, შესაბამისად, ამას სჭირდება ისეთი პატრონი, რომელიც სხვა საკითხებით არ იქნება დაკავებული. ეკონომიკის სამინისტროში შემავალი ყველა დარგი პრიორიტეტულია. იმის თქმა, რომ ენერგეტიკა განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება, არასწორია, რადგან ტურიზმიც პრიორიტეტულია, ტრანსპორტის რამდენიმე მიმართულებაც პრიორიტეტულია, მრეწველობაც პრიორიტეტულია და ა.შ. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტროსთან გაერთიანება ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ სათანადო ყურადღება მიექცეს ენერგეტიკის სექტორს. ნებისმიერ ქვეყანაში ენერგეტიკა პრიორიტეტად ითვლება, ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ენერგეტიკაში საქმე ისეა აწყობილი, თითქოს უწყების არსებობა საჭირო არ არის სამინისტრო იქაც კი მოქმედებს“, — განმარტავს რევაზ არველაძე.

„კომერსანტის“ კითხვაზე საქართველოს მთავრობას აქვთ თუ არა ხედვა ენერგეტიკის სექტორის განვითარების მიმართულებით, „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი უპასუხებს:

— „მთავრობას არ შეიძლება, ხედვა არ ჰქონდეს, მაგრამ რამდენად ქმედითი იქნება მთავრობა, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ხედვა თუ არა აქვს, მთავრობაში არც უნდა იყოს. მე არ ვამბობ, რომ ენერგეტიკის სამინისტროს გამოყოფა რაღაც გადატრიალებას მოახდენს მაგრამ, როდესაც სამინისტრო არსებობდა, ამ პრობლემებს ასე თუ ისე აგვარებდა, მართალია გაჭირვებით, მაგრამ აგვარებდა. ახლა ეს პრობლემები ვხედავ რომ ნაკლებად მოგვარებადი გახდა, აქედან გამომდინარე დავაყენე ეს საკითხი“, — განმარტავს არველაძე.

დეპუტატის მოსაზრებას იზიარებს ენერგეტიკოსი **თემურ ჭიჭინაძე**. ენერგეტიკის აკადემიის წევრი ამბობს, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაერთიანება საქართველოს მთავრობის შეცდომა იყო. მისი თქმით, არასწორ გადაწყვეტილებას არავითარი შედეგი არ მოუტანია.

„ენერგეტიკის სამინისტროს შეერთება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ძალიან დიდი შეცდომა იყო. უწყება კარგად ასრულებდა თუ არა თავის ფუნქციას, ეს სხვა თემაა მაგრამ მისი არსებობა აუცილებელი იყო. ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობამ შეცდომა დაუშვა მაგრამ, მე მგონია, მიზანმიმართული შეცდომა იქნა დაშვებული,რადგან მათ აღარ უნდოდათ სამინისტროს არსებობა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი შეცდომა იყო დაშვებული და ენერგეტიკის სექტორში ძალიან ბევრი უარყოფითი რამ გაკეთდა. უწყებაში პროფესიონალიზმი საერთოდ აღარ იყო, დარგს ძირითადად სხვადასხვა დარგის სპეციალისტები განკარგავდნენ, თუმცა ეს არაპროფესიონალიზმი ყველგან შეინიშნება“, — განაცხადა თემურ ჭიჭინაძემ.

ენერგეტიკის აკადემიის წევრი განმარტავს, რომ „ქართულ ოცნებას“ ენერგეტიკის მიმართულებით ხედვა და სტრატეგია არ აქვს. ენერგეტიკოსის შეფასებით, სამინისტროს არსებობა სწორი იყო თუმცა, არასწორი პოლიტიკის გამო ენერგეტიკის სექტორმა ქვეყანას დიდი ზიანი მოუტანა.

— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არანაირი გაუმჯობესება არ ყოფილა. უბრალოდ, შენარჩუნდა ის მავნე ტრადიციები, რომელიც იყო დანერგილი „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში. დინამიკაში თუ განვიხილავთ ვერც ერთი კომპონენტით წინსვლას ვერ ვხედავ. დასტურდება მხოლოდ ტარიფების ზრდა“, — განმარტავს თემურ ჭიჭინაძე.

— „ნაკლები ბიუროკრატია, მეტი ეფექტურობა“ — ასე ახსნა პრემიერმა **გიორგი კვირიკაშვილმა** 2017 წელს სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა, რომლის მიხედვითაც სამინისტროების რაოდენობა 18-დან 14-მდე შემცირდა. საქართველოს მთავრობა 2017 წელს გვარწმუნებდა, რომ ცვლილებები მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ქვეყნის სწრაფ განვითარებას შეუწყობდა ხელს.

მაშინ საქართველოს პარლამენტმა 103 ხმით 17-ის წინააღმდეგ მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობა გამოუცხადა. ერთსულოვანი იყო „ქართული ოცნების“ გუნდის განცხადებებიც.

— „ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება, რომ ძალიან ბევრი სამინისტრო გვქონდეს. მივესალმები ოპტიმიზაციას და ხარჯების შემცირებას“, — ამის შესახებ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ოთარ დანელიამ** 2017 წლის ნოემბერში განაცხადა.

იგივე შინაარსის განცხადება გააკეთა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა **თამარ ჩუგოშვილმა**. ის ამბობდა, რომ მთავრობის პრიორიტეტი ხარჯის მაქსიმალურად ოპტიმიზაცია და ეფექტურობის გაზრდა იყო.

რადიკალურად განსხვავებული იყო მმართველი გუნდის ოპონენტების განცხადებები. მაშინ, საპარლამენტო ოპოზიციაში აცხადებდნენ, რომ „ქართული ოცნება“ სტრუქტურული ცვლილებებით ცდილობდა ქვეყანაში შექმნილი რეალობის გადაფარვას:

„ეს ცვლილებები იმის სიგნალია, რომ მმართველმა გუნდმა დაინახა, რომ ამ არჩევნებზე მათ საზოგადოებაში არ აქვთ ის მხარდაჭერა, რომელიც ესაჭიროებათ ქვეყნის სამართავად“, — **სალომე სამადაშვილი.**

„ევროპულ საქართველოში“ კი აცხადებდნენ, რომ სტრუქტურული რეფორმები დაგვიანებულია და თან — არასრული და გაუაზრებელი.

„მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს იმ მიზნით, რომ ბიუროკრატიული ხარჯი დაიზოგოს და ეს დანაზოგი, ერთი მხრივ, მოხმარდეს ასაკობრივი პენსიის, დევნილთა შემწეობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების ზრდას, მეორე მხრივ კი, გადასახადების დაწევას“, — აცხადებს **ზურაბ ჭიაბერაშვილი.**

საპარლამენტო ოპოზიციის მოლოდინები გამართლდა — ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ რომ ვერ გაამართლა, ადასტურებს ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის კვლევა. IDFI-ის ცნობით, საქართველოს მთავრობაში 2017 წლის დეკემბერში დაწყებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა 2018 წლის საწყისი 5 თვის განმავლობაში ვერ უზრუნველყო ბიუროკრატიული ხარჯების ოპტიმიზაცია.

დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ 2018 წლის 5 თვის მონაცემებით, იმ სამინისტროებში, რომლებსაც 2017 წლის დეკემბერში შეეხოთ სტრუქტურული ცვლილებები, შრომის ანაზღაურების საერთო ხარჯები წინა წლის ანალოგიური პერიოდის ნიშნულზე იქნა შენარჩუნებული, ხოლო საქონელი და მომსახურების ხარჯები დაახლოებით 15 მილიონი ლარით გაიზარდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲘᲡ ᲙᲚᲔᲑᲐ. ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐ:

2007 —	$ 331 მილიონი
2008 —	$ 294 მილიონი
2009 —	$ 2 მილიონი
2010 —	$ 26 მილიონი
2011 —	$ 212 მილიონი
2012 —	$ 179 მილიონი
2013 —	$ 246 მილიონი
2014 —	$ 190 მილიონი
2015 —	$ 123 მილიონი
2016 —	$ 145 მილიონი
2017 —	$ 280 მილიონი
2018 —	$ 120 მილიონი

ახლად დანიშნულმა პრემიერმა **გიორგი გახარიამ** „ქართული ოცნების“ დეპუტატს პასუხი სამი კვირის ვადაში უნდა დაუბრუნოს. სწორედ ამის შემდეგ გახდება ცნობილი, გამოეყოფა თუ არა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ენერგეტიკის სამინისტრო.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲧᲐᲖᲐᲮᲣᲠᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ᲐᲥᲡᲐᲘ ᲑᲘ-ᲔᲛ-ᲡᲘ“-ᲡᲒᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲧᲐᲖᲐᲮᲣᲠ კომპანია „აქსაი ბი-ემ-სი“-სთან სახელმწიფო დავას უზენაეს სასამართლოში აგრძელებს. როგორც აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიდან ირკვევა, ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო კომპანიისგან ბიუჯეტის სასარგებლოდ 1 მილიონი აშშ დოლარის პირგასამტეხლოს გადახდას ითხოვს.

„აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილებულია საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ ნაწილობრივ, 500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით“, — აღნიშნულია ანგარიშში. „აქსაი ბი ემ სი“-მ დასავლეთ საქართველოში, მეხუთე სალიცენზიო ბლოკზე ნავთობის ძებნა-ძიებისა და მოპოვების ლიცენზია 2006 წელს, 25 წლის ვადით მოიპოვა. სახელმწიფო კომპანიას სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობას ედავება.

კომპანია, რომელიც მუდამ ქართულ საქმეს აკეთებს!

მაგთიკომი
MAGTICOM

22 წელიწადი საქართველოსთვის

მაგთი
MAGTI
ერთგულების 22 წელი

უკვე 22 წელიწადია, რაც მაგთიკომი:

ნერგავს უახლეს ტექნოლოგიებს;
ქმნის საკომუნიკაციო სერვისებს;
უზრუნველყოფს საიმედო კავშირს;
აძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას;

დღეს, როდესაც მაგთიკომს 22 წელი შეუსრულდა, კონკრეტული ფაქტები ასეთია:

მაგთიკომი, დაარსებიდან დღემდე 1.9 მილიარდ ლარზე მეტი ინვესტიციით, საქართველოს უმსხვილესი კომპანიების ათეულშია და თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაში.

მაგთიკომის მიერ ქართულ ეკონომიკაში შენატანი 2 მილიარდ ლარს უახლოვდება.

ბოლო 10 წლის განმავლობაში მაგთიკომს ადგილობრივი კომპანიებისთვის სხვადასხვა მომსახურების შესასყიდად გადახდილი აქვს 800 მილიონ ლარზე მეტი, რაც ხელს უწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას.

მაგთიკომი ქმნის სამუშაო ადგილებს და დასაქმებულთა რაოდენობით ტელესაკომუნიკაციო დარგში პირველ ადგილს იკავებს.

მაგთიკომი ყოველდღიურად 3 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

მაგთიკომის და დამფუძნებლების მიერ სოციალური პასუხისმგებლობისა და საქველმოქმედო პროექტებისთვის გაღებული თანხა ასეულობით მილიონ ლარს აღემატება.

მაგთიკომის მობილური ქსელი საქართველოს დასახლებული, კონტროლირებადი ტერიტორიის 98%-ს ფარავს ყველაზე გამართული, ხარისხიანი ქსელით, რომელიც მობილური ქსელის განვითარების ყველა საფეხურს (2G/ 2.5G/3G/3.5G/4G/4.5G) მოიცავს. მხოლოდ მაგთიკომის მობილური ქსელით არის შესაძლებელი საქართველოს მთელი საზღვრის საკომუნიკაციო მომსახურება. ამით კომპანიას ქვეყნის უსაფრთხოებაში თავისი წვლილი შეაქვს.

მაგთიკომს ქვეყანაში ინტერნეტქსელის გასაფართოებლად დღეში 40 კილომეტრზე მეტი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი გაჰყავს და შედეგად 400-ზე მეტ ქალაქსა და სოფელს ინტერნეტთან წვდომის საშუალებას აძლევს, რეგიონებში პროგრესისა და განათლებისთვის, ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის ინტერნეტიზაციის პროცესს აგრძელებს და ინტერნეტქსელს ახალ ლოკაციებს უმატებს.

მაგთიკომი მადლობას უხდის მომხმარებლებს და მომავალშიც საიმედო კავშირს ჰპირდება.

არ დაგავიწყდეთ - მაგთი ხარისხია!

101 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია 22 წლის ნოვატორ კომპანია მაგთიკომს — ქართველ ჟურნალისტთა, მწერალთა, მხატვართა, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ახალბედა ხელოვანთა, წარჩინებულ სტუდენტთა მეგობარსა და შემწეს, ზოგადად ქართული კულტურის, ქართული სახვითი ხელოვნების და აღორძინების საქმეში ყველაზე გამორჩეულ საქველმოქმედო ორგანიზაციას გულწრფელად ულოცავს დაბადების დღეს და მშვიდობიან, გამთლიანებულ, ეკონომიკურად გაძლიერებულ საქართველოში მოღვაწეობას უსურვებს!

ათასი წელი გევლოთ მსოფლიოსთან პატარა საქართველოს მუდმივი კავშირის შემოქმედნო! თქვენი მაღალი პროფესიონალიზმი, ჩვენს რედაქციასთან შემოქმედებითი თანამშრომლობა და პარტნიორობა ჩვენი რწმენა და იმედია!

წარმოიდგინეთ მოკრივე რინგზე, რომელსაც ორთაბრძოლის დროს ტრუსი უვარდება ხოლმე. დამეთანხმებით, რომ ბევრს ვერაფერს იზამს. ჩვენს პოლიტიკაშიც ასე ხდება, პოლიტიკური მოკრივეები გადიან პოლიტიკურ რინგზე, ტრუსჩავარდნილები მარცხდებიან და მერე იწყებენ თავის მართლებას...

ასე მოუვიდა „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების მიერ მართულ „ანტისაოკუპაციო“ მიტინგს რუსთაველზე, რომელიც სამოქალაქო პროტესტიდან სწრაფად გადაიზარდა პოლიტიკურ აქციაში. ვიდრე ტრუსი ბოლომდე არ ჩაძვრათ, იმიტინგეს, იყვირეს, მოაწყვეს სხვადასხვა პერფორმანსები, სასტვენებიდან დაწყებული ცხვრებით დამთავრებული და ბოლოს, ჩამძვრალი ტრუსით დაიშალნენ. აქციის მონაწილეები კი აცხადებენ, რომ „ისტორიულ გამარჯვებას“ მიაღწიეს და ხელისუფლება 2020 წლისთვის პროპორციულ არჩევნებზე დაითანხმეს, მაგრამ იმას ვერ ხვდებიან (შეიძლება ხვდებიან კიდეც), რომ მათი პროტესტი ბიძინა ივანიშვილმა შესანიშნავად გამოიყენა იმისათვის, რომ ერთი გასროლით რამდენიმე კურდღელი მოეკლა.

პოლიტიკა, როგორც რინგი...

რუსთაველზე საპროტესტო აქციის გამოყენებით, ივანიშვილმა შეძლო „ქართული ოცნების“ მაჟორიტარების და პარტიაში მათი მხარდამჭერების მოთვინიერება და უარი ათქმევინა პოზიციაზე, რის გამოც სრულიად პროპორციული არჩევნები მხოლოდ 2024 წელს უნდა ჩატარებულიყო, პროტესტის ფონზე ასევე უმტკივნეულოდ მოახდინა პარტიის ხელმძღვანელ რგოლში ის საკადრო ცვლილებები, რომელმაც საშუალება მისცა, პარტიაში უთანხმოება გაენეიტრალებინა, სამიტინგო მუხტიც ჩაეცხრო და დასავლეთთანაც პირნათელი გამოჩენილიყო.

პროპორციული არჩევნების „ნულოვანი ბარიერით“ ჩატარების ინიციატივა, რაც საარჩევნო ბლოკების გაუქმებას გულისხმობს, პრაქტიკულად, სპობს „ნაციონალების“ თუ სხვა წამყვანი პოლიტიკური ძალის ირგვლივ გაერთიანებების შესაძლებლობას და ელექტორატს აკარგვინებს. ამავე დროს, „ნულოვანი ბარიერი“ გზას უხსნის უკვე არსებულ და პერსპექტიულ მცირე პარტიებს (არ არის გამორიცხული „ოცნების“ ეგიდით შექმნილებსაც), რომ მცირე წარმომადგენლობით, მაგრამ შევიდნენ პარლამენტში და იქ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში მთავრობა ჩამოაყალიბონ. არაერთი მცირე პარტია იმედით ელოდება ამას. საგულისხმოა, რომ NDI-ს ბოლო გამოკითხვით, რომელიც 20 ივნისის შემდეგ ჩატარდა, რუსთაველზე აქციების ფონზე, „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი წინა გამოკითხვასთან შედარებით 17%-დან 9%- მდე დავარდა, ხოლო „ევრონაცების“ კი კატასტროფულ 4%-მდე. პასუხი კითხვაზე — ვინ კამოვიდა რინგზე ამ ორთაბრძოლიდან გამარჯვებული, მკითხველისათვის მიგვინდია.

თუმცა, ეს შემთხვევა „ნაციონალებისა“ და „ევრონაცებისათვის“ გაკვეთილი ვერ გამოდგა და მორიგ პოლიტიკურ რინგზე, ისევ უვარგისი და მოშვებული ტრუსებით გავიდნენ.

„ევროპულმა საქართველომ“ პარლამენტში „ქართული ოცნებისგან“ კატეგორიულად მოითხოვა, მხარი დაეჭირა დადგენილების პროექტისთვის, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობას უნდა მიეღწია, რომ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიებიდან საოკუპაციო ძალების გაყვანა და ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია შესულიყო იმ მოთხოვნებში, რომლის გამოც ევროკავშირმა და აშშ-მა სანქციები დაუწესა რუსეთს. მიუხედავად იმისა, რომ დადგენილების არარეალისტურობა ცხადი იყო პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანისათვისაც კი, „ევრონაცებმა“ მძლავრი კამპანია ააგორეს, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსულ ძალად წარმოეჩინათ. „ევრონაცები“ ერთდროულად რამდენიმე კურდღლის დაჭერას აპირებდნენ: თუ დადგენილების პროექტი არ გავიდოდა, არაფერს კარგავდნენ და გააგრძელებდნენ პროპაგანდისტულ კამპანიას. თუ მაინც მიიღებდნენ, რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ გარდუვალ დამსჯელ ზომებს, ხელისუფლების უნიათობაში დადანაშაულებისათვის და დესტაბილიზაციისათვის გამოიყენებდნენ.

ისტერიული კამპანია მას შემდეგ შეწყდა, რაც „ევრონაცებს“ ცივი წყალი გადაასხა საქართველოში შვეიცარიის ელჩის **პატრიკ ფრანცენის** განცხადებამ, რომ ნებისმიერ სანქციას მოჰყვება თავისი შედეგები და, რომ გასათვალისწინებელია, თუ რა მოჰყვება ამ სანქციებს საქართველოსთვის.

იმის გასაცნობად, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს საქართველოს რუსეთის საპასუხო ზომებმა, საკმარისია გავეცნოთ თუნდაც იმ პროდუქციის ჩამონათვალს, რაც საქართველოს რუსეთიდან შემოაქვს. სია საკმაოდ შთაბეჭდავია და ალბათ, ბევრისთვის მოულოდნელიც კი. წარმოიდგინეთ, რომ რუსეთის კონტრსანქციების შედეგად ამ პროდუქციის ექსპორტი საქართველოში შეწყდა ან თუნდაც განახევრდა.

თუ ამას დავუმატებთ საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებულ პროდუქტებზე მოსალოდნელ ემბარგოს, ტურიზმის ნაკადის მკვეთრ შემცირებას, ახალ სამხედრო პროვოკაციებს სადემარკაციო ხაზებზე, გართულებების ინიცირებას ჩვენს ეთნიკურ რეგიონებში და სხვა საფრთხეებს, შეგვიძლია, მიახლოებით დავთვალოთ მოსალოდნელი ზარალის მთელი სიმძიმე.

საქმე ის არის, რომ ევროკავშირსა და ნატოში სანქციებთან მიმართებაში მოქმედებს მიზანშეწონილობის პრიორიტეტი, რაც იმას გულისხმობს, რომ სანქციებმა თავად ევროკავშირს და აშშ-ს მინიმალური პრობლემები უნდა მოუტანონ და, რა თქმა უნდა, დაუტოვონ მანევრის სივრცე რუსეთთან დიალოგისათვის. უკრაინის მოვლენების გამო რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს უკვე 5 წელი უსრულდება და უკრაინის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვადიმ პრისტაიკომ** უკვე განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული დასავლური „სანქციები იდეოლოგიურად იფიტება“, და ეს არ არის აღმოჩენა. 2019 წლის მარტში, ბრიტანული კომპანია YouGov (https://today.yougov. com) მიერ საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული საბჭოს დაკვეთით ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ თითქმის ნახევარ მათგანში, მოსახლეობის ერთი მესამედი თვლის, რომ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ ზედმეტად მკაცრია ევროკავშირში სულ უფრო ხმამაღლა ისმის მოწოდებები სანქციების შერბილებაზე. მხოლოდ სახის შენარჩუნების გამო, აშშ-ს ზეწოლით და უკრაინის დაკარგვის შიშით, აგრძელებს ევროკავშირი ყოველი ექვსი თვით სანქციებს. ექსპერტთა დიდი ნაწილი თვლის, რომ სანქციები ჯერჯერობით ვერ იძლევა სასურველ შედეგს, მათ შორის ევროპელთა შორის განსხვავებული ხედვების გამო. საკმაოდ ბევრი ინფორმაციაა იმაზე, რომ ევროპული კომპანიები ელოდებიან რუსეთზე დაწესებული სანქციების მოხსნას, და რაც ყველაზე საინტერესოა, რამდენიმე მსხვილი კომპანია, შეუფერხებლად აგრძელებს ან იწყებს რუსეთში ბიზნესს სანქციების გვერდის ავლით. მაგალითად, გერმანიამ, რომელიც სანქციების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორია, მხარი დაუჭირა რუსეთის მიერ დაწყებულ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ პროექტს, გერმანიის უმსხვილესი გიგანტი „დაიმლერ-ბენცი“ ავტოქარხანას აშენებს მოსკოვთან ახლოს E-კლასის მერსედესების გამოსაშვებად.

ფრანგულმა „ტოტალმა“ მოსკოვთან ახლოს ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა გახსნა და რუსეთის Arctic LNG 2 პროექტის აქციების 10% შეიძინა. რუსეთთან ბრიტანეთის მკვეთრი დაპირისპირების მიუხედავად, „ბრიტიშ პეტროლეუმმა“ „როსნეფტის“ აქციების 19,75% შეიძინა, მიუხედავად მასზე დადებული სანქციებისა, იტალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე **მატეო სალვინიმ** იტალიურ კომპანიებს მოუწოდა, ეძებონ რუსეთზე ევროკავშირის სანქციების შემოვლის გზები. ევროპის მიერ რუსული გაზის შესყიდვის მოცულობებმა კი ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია.

სამწუხაროდ, არც ამ ეტაპზე და არც თვალსაწიერ მომავალში, თუკი რუსეთსა და დასავლეთს შორის სიტუაცია მნიშვნელოვნად არ გართულდა, სანქციების პაკეტში საქართველოს ოკუპაციის თემის ჩადება, არარეალისტურად გამოიყურება.

„ევროპულ საქართველოს“, რომლის დადგენილების პროექტი ჩავარდა და ისტერიულმა კამპანიამ შედეგი ვერ გამოიღო, მორიგ ჯერზე მოუწია ჩავარდნილი ტრუსით რინგიდან დამარცხებული გასვლა.

ისე კი, საინტერესოა, რა უშლიდათ ხელს, ხელისუფლებაში ყოფნისას დაეწყოთ მუშაობა ევროპასთან და აშშ-სთან, რომ საქართველოს ოკუპაციისათვის რუსეთს სანქციები დაწესებოდა?! მით უმეტეს, რომ იქ გავლენიანი მეგობრებიც საკმაოდ ჰყავდათ. თუმცა, მათ შესაძლოა, სხვებზე უკეთ იციან, რომ პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები არ არსებობენ...

ზაალ ანჯაფარიძე

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა დავით ნარმანიას მხარი დაუჭირა

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა სემეკ-ის თავმჯდომარის პოსტზე დავით ნარმანიას კანდიდატურას მხარი დაუჭირა — 10 ხმით არც ერთის წინააღმდეგ.

საკითხის განხილვა პარლამენტის სესიაზე გაგრძელდება. ნარმანია მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე იმ შემთხვევაში გახდება, თუ მას მხარს 76 დეპუტატი დაუჭერს.

ნარმანიას თქმით, სემეკ-ში უახლოეს პერიოდში იგეგმება ახალი მარეგულირებელი ნორმების მიღება, რომელიც ინვესტიციების შეფასების საკითხს ეხება. ასევე დაგეგმილია ელექტროენერგეტიკის ბაზრის მონიტორინგის წესების დამტკიცება.

დავით ნარმანია: გაზის ტარიფის განსაკუთრებული ზრდა მოსალოდნელი არ არის

გაზის ტარიფის განსაკუთრებული ზრდა, ჩემი აზრით, მოსალოდნელი არ არის, — ამის შესახებ ჟურნალისტებს სემეკ-ის წევრმა და კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატმა, დავით ნარმანიამ განუცხადა.

„ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე არსებული მდგომარეობით, ზრდასთან დაკავშირებით რაიმე სახის განსაკუთრებული მოლოდინი არ არსებობს. ეს არის ბუნებრივი პროცესი, როდესაც სემეკ-ის შესაბამისი სამსახურები აკეთებენ წარმოდგენილი განაცხადების შეფასებას, კალკულაციას. ამის შემდეგ, მოგვიანებით იქნება ცნობილი ეს საკითხი“, — აღნიშნა ნარმანიამ. გაზგამანაწილებელი კომპანიების განაცხადებს, სემეკ-ი წლის ბოლომდე განიხილავს.

რაც შეეხება ელექტროენერგიის ტარიფებს, ნარმანიას ინფორმაციით, ისინი დადგენილია 2020 წლის ბოლომდე. შესაბამისად, ამ ეტაპზე მათი ცვლილების საჭიროება არ არსებობს.

იაკობის დაბრუნება

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ მკითხველო! ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო, ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირადაც გაიაზრებს, ჰოდა, იმ დღეს რა დაგვავიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გაგვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?

ᲓᲔᲛᲜᲐ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲘᲐ

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედაენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლდება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რომელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“.

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ



ასე და ამგვარად, ამ წერილი-მოწოდების ეპიგრაფად და შესავლად მოხმობილ-დამოწმებული მწერლების — გრიგოლ აბაშიძისა და დემნა შენგელაიას ნააზრევზე, ვფიქრობ, ყველა ვთანხმდებით, რამეთუ ცამდე სიმართლეს ბრძანებენ.

არადა, ამ საგანძურის პატრონი ერის შვილებმა, ერთი ჩვენებური გამოთქმისა არ იყოს, უკვანტო საქმე საკვანტოდ გავიხადეთ და, თურაშაულის პატრონი მართლაცდა უღრანში ვეძებდით მაჟალოს და ამ „ნუგბარით“ „ხელდამშვენებულმა“ კარგა ხანი ვიხეტიალეთ, უფრო სწორად გვახეტიალეს...

რა თქმა უნდა, სულმნათი დიდი იაკობ გოგებაშვილის სწორუპოვარი საანბანო წიგნის, დედის რძესავით ტკბილი, ნოყიერი და მარგებელი „დედაენის“ მშობლიურ წიაღში დაბრუნებაზე ვსაუბრობთ.

ჰოდა, სწორუპოვარი უმაღლესი ეპითეტით რომ შევამკე და მოვიხსენიე, კალამი ნამდვილად არ გამქცევია და, აი რატომ: „1960 წელს ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში გაიმართა მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი. იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილმა ქართულმა საანბანე სახელმძღვანელომ „დედაენამ“ პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა“.

ჰოდა, რაკი ჩვენთვის ხელიხელსაგოგმანები „დედაენის“სასიამოვნო ფაქტების დამოწმება გასული საუკუნით დავიწყეთ, მივყვეთ და დღემდე მოვიდეთ: „1976 წელი — ი. გოგებაშვილის „დედაენას“ გადაუხადეს 100 წლის იუბილე; 1981 წელი — თბილისში დაიდგა „დედაენის“ ძეგლი (მოქანდაკე ე. ამაშუკელი); 2011 წელი — პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი გურამ ხანდამიშვილი, თავის კრებულში „ჩემი არასრული მე“ (რედაქტორი — ლევან ჩიქვანაია) წერს, რომ „იაკობმა შეძლო ყმაწვილთათვის შეექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ბადალი წიგნი. ვინაიდან სულში ეჯდა დედაენა, საწყისი მეცნიერული შემეცნებისა, ყოველი სიკეთისა და ბედნიერებისა“.

ბედის დაცინვა და ირონიაა, რომ იმ წელს განათლების მინისტრად განწესებულმა „ჰუმანისტმა და დიდმა დიდაქტიკოსმა“ დიმიტრი შაშკინმა „დაიფარა თუ შეიბრალა“ ჩვენი ცეროდენები და, „ძველ, ანუ რუსთ ხელმწიფის დროინდელ „ყავლგასულ“ მარადმწვანე „დედაენას“ გრიფირება მოუხსნა და სკოლიდან გააძევა. კაი „ჩიტიც დაიჭირა“. იქიდან მოყოლებული დღემდის სულ „ლოცვა-კურთხევით“ მოიხსენებენ მას მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები.

ასე რომ, ამ ქვეყანაზე ადრე თუ გვიან ყველაფერი სრულდება და 2012 წელს ანტიიაკობისტების მზაკვრობა ძირითადად დასრულდა თუ აღესრულა, როგორც სიზმარი ღამისა.

2013 წელს კარგმა კაცმა, მწერალმა და კულტურის მინისტრმა, ბ-ნ გურამ ოდიშარიამ ჩვენს „დედაენას“ მიანიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

2014 წელს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მოკლე დროში მოასწრო განათლების აღმავლობის პროცესის სათავესთანაც მდგარიყო და ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განუსაზღვრა. აქვე ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანი სტატისტიკა: „დღეისთვის საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 37 ელემენტს; ამათგან ეროვნული ძეგლის სტატუსი — ხუთს. ესენია: ქართული პოლიფონია (2011წ.); ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2012); „დედაენა“ — საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი (2014); ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (2015); ქართული ჭიდაობა (2017).

ყოველი ზემოთქმულიდან და არ თუ ვერ თქმულიდანაც გამომდინარე, თანამედროვე გამოჩენილ მეცნიერთაგან შემდგარმა კომისიამ (აკადემიკოსები: ავთანდილ არაბული, მზექალა შანიძე, დავით ლორთქიფანიძე, პროფესორები: ზაზა აბაშიძე, გიორგი ალიბეგაშვილი, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ლევან თაქთაქიშვილი და იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე გიორგი გოგოლშვილი) განაცხადა, რომ კომისიამ გააკეთა ყველაფერი, რაც არ დაარღვევდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ უძვირფასესი მემკვიდრეობის ძირითად პრინციპებს და ისე გამოსცა ახალი სახელმძღვანელო.

ჰოდა, ამ დიდებულ ქართველ მამულიშვილთა შეერთებული გონება-გამოცდილებით მომზადებულ და გამოცემულ სახელმძღვანელოს მიანიჭა ეგზომ ნანატრი „გრიფირება“ საქართველოს განთლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა. დიახაც, რომ ფრიად მიხარის იმ სასიამოვნო ფაქტის კონსტატაცია, საქართველოს მასწავლებლებისა და პატარა ქართველი ცეროდენების გახარებისთვის, ბოლომდე გაგმარჯვებოდეთ, ბატონო მინისტრო.

ფაქტია და ვერაფრით გვერდს ვერ ავუვლით, რომ განათლების სისტემაში გამწმენდი ცეცხლის მთავარი გამჩაღებელი აწ უკვე გადამდგარი პრემიერ-მინისტრი ბატონი მამუკა ბახტაძეა, რომელიც კაცურად გაისარჯა და, როგორც თავად ბრძანა, მის მთავარ იდეას და მისიას, ზოგადად განათლებაზე და მის მთავარ შემადგენელ კომპონენტებზე — მასწავლებელსა და მოსწავლეზე ზრუნვა, სახელმწიფოს მხრივ შეუქცევადი გახადა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მრავალნაცად ახალარჩეულ პრემიერ-მინსტრს, ბატონ გიორგი გახარიას გულწრფელად ვულოცავ სრულიად დამსახურებულად დიდად საპასუხისმგებლო პოსტზე არჩევა-დამტკიცებას. გამძლეობასა და მხნეობას ვუსურვებ ქვეყნის ერთ ძლიერ მუშტად შეკვრის საღმრთო საქმეში.

პატივცემულო მკითხველო! ყოველივე ზემოთ დამოწმებულ-დაფიქსირებულის შემდეგ ჩემი, ერთი რიგითი ქართველის გულის წადილი და მთავარი სათქმელი ისაა, რაზეც მართლაც საერო, ყოველმხრივ სანდო, პირუთვნელი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ წერს ა/წ 27-28 ივლისის (№ 152, გვ. 6-7) ნომერში: „არ არის სკოლა, არ არის სოფელი! ახალ სასწავლო წელს საქართველოს 109 სკოლას პირველკლასელი არ ეყოლება. „სკოლა პირველკლასელის გარეშე?! და კიდევ: რედაქციის დამატებული ძარღვებში სისხლგამყინავი ინფორმაცია, „საქართველოში 200 ნასოფლარია, სადაც აღარავინ ცხოვრობს. აი, ახლა კი ირკვევა, რომ კიდევ 109 სოფელია სიკვდილის რიგში. ეს ეროვნული ტრაგედიაა!“

ისმის კითხვა: რა უნდა ვქნათ? ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყანა ვართ. პლურალისტული დემოკრატიის გზა არჩეული და გაკვალული აქვს. „ყველაფერში პლურალიზმი მსხვერპლს მოითხოვს... ამიტომ დასაწყისშივე აღვნიშნე, უკვანტო საკვანტოდ გავიხადეთ-მეთქი.

ჰო, ასეა, ნებისმიერი რანგისა და კატეგორიის დაწყებითი კლასების მასწავლებელიც ხომ ჩვენნაირი „მოწამლული“ ქართველები არიან. ვიცით: „თუ „დედა ენით“ არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული.“

მაგრამ არიან წიგნიერი, ოღონდ ცივსიხლიანი, მხოლოდ და მხოლოდ ქართული გვარების მატარებელი სუბიექტები, რომლებიც სულმნათ მუხრანსაც არად დაგიდებენ...

ახლა ჩვენს სკოლებში „დედა ენის“ დაბრუნების წარუვალი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტზე ვსუბრობთ. ამიტომ სავსებით ბუნებრივი და ლეგიტიმურიც არის ასეთი კითხვა-შეკითხვა: რა სახელწოდების სკოლაში ვაბრუნებთ ჩვენს „დედა ენას?“ ილიას შეფასებით ხომ: „საერო სკოლა ის მოედანია, საცა ერის გონებამ და გრძნობამ პირველი ფეხი უნდა აიდგას. ის გამზრდელია ერისა, რომელმაც უნდა აძლიოს ხალხს საზრდელი სულისა და ხორცისა იმ პატარა საწყაოთი, რომელიც ზედგამოჭრილია უმეტნაკლებოდ ერის მოკლედ შემოხაზულ შინაურს ყოფა-ცხოვრებაზედ, მის სულიერ და ხორციელს მოთხოვნილებად.“

წმინდა ილია მართლის ხელდასხმულ-სახლდებული, ყოველმხრივ ზედგამოჭრილი „საერო სკოლა“ რომ უნდა ერქვას, უნდა ამას ახლა კომენტარი, ან რაიმე საბუთის მოძიებისთვის ჯახირი და თავისტეხა?! წმინდა ილია მართალზე უფრო სანდო ნათლიას ვერსად ნახავთ ამ ცისქვეშეთში და, გნებავთ, მის მიღმაც! და ამ ყველაფრიდან გამომდინარე, დიდი იმედია, რომ „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაჰკარგას და, ამჟამადაც მოქმედი, სწორედაც რომ ეგრეთ წოდებული „საჯარო სკოლა“, ადრე თუ გვიან, აუცილებლად და სამარადისოდ „საერო სკოლად“ გარდაიქმნება.

დაბოლოს, ჩვენთვის ერთობ სამწუხაროდ, უკვე ვიცით, რომ საქართველოს 109 სოფელში დიდი იაკობისეული „დედა ენა“ ვერ შეანათებდა, რა უნდა ვქნათ? თავს ზემოთ ძალა არაა, ამ „საპატიო მიზეზის“ მიზეზი ყველამ ვიცით!..

ჰო, თითქოსდა ერთობ და ფრიად ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ, როგორც ვამბობთ ხოლმე, ეშმაკს არ სძინავს და ამ გაჭენებული „პლურალისტული დემოკრატიის“ პირობებში დავუშვათ და რომელიმე პირველი კლასის მასწვლებელს და მის დირექტორს, არა ანაგარებით, არამედ იმიტომ, რომ ქართველები ვართ და მოგვარის, ძმაკაცის ან დაქალის ხათრმა აცდუნა და, ნამდვილი „დედა ენის“ ნაცვლად, მისი სუროგატისკენ „წაუცდა“ ხელი კია არა, უფრო სწორად გონება... ამისთვის ვერც ერთი დონის და რანგის სახელმწიფო მოხელე-ჩინოვნიკი, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, რომ იტყვიან, ბუზს ვერ აუფრენს... არადა, ეს ყოვლად მიუღებელი, მერიდება კი თქმა, მაგრამ გაცხადებულ-აფიშირებული უზნეობა იქნება და თავშივე უნდა აილაგმოს.

დიდი ფრანგი მწერლისა და პედაგოგის ჟან ჟაკ რუსოს მარადმწვანე სიბრძნით მინდა, დავამთავრო: „მცადარიც რომ იყოს ჩემი აზრები, თუ ისინი სხვებს კარგ აზრებს გაუღვიძებენ, ტყუილუბრალოდ არ გამიცდენია დრო“...

ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔ (ᲛᲐᲛᲣᲚᲘ) ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ,

ისტორიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ...

ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ **ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ მორიგი შეხვედრა ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის მთავარ ოფისში გამართა.**

ჯანდაცვის მინისტრი მსოფლიო ბანკის, ადამიანური რესურსების საკითხებში ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ დირექტორს ფაიდა საადის შეხვდა. მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდნენ საქართველოს დელეგაციის სხვა წევრები და მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებიც.

ჯანდაცვის მინისტრმა ყურადღება გაამახვილა უკვე მიმდინარე და სამომავლო ერთობლივ პროექტებზე.

„ჩვენი მიზანია ჯანდაცვის სერვისებზე მოსახლეობისთვის ჯიბიდან გადახდების შემცირება და თანხების მინიმალიზაცია. ამ მიმართულებით მსოფლიო ბანკის მხარდაჭერა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შევთანხმდით, გავაგრძელოთ ურთიერთთანამშრომლობა ყველა მიმართულებით, მათ შორის კლინიკების ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით“, — განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

აშშ-ის მიზანი ირანთან ომის თავიდან არიდებაა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ მომპეო აცხადებს, რომ ამერიკას ირანთან ომის თავიდან არიდება სურს, თუმცა ამისთვის ზომების მიღებაა საჭირო. პომპეოს განმარტებით, ომანის ყურეში დამატებითი ჯარების გაგზავნა მხოლოდ „თავდაცვას“ ნიშნავს.

სახელმწიფო მდივნის თქმით, ის დარწმუნებული იყო, რომ პრეზიდენტი ტრამპი ასეთ შემაკავებელ ზომას მიიღებდა და ეს ირანელი ლიდერებსაც კარგად ესმით.

„ჩვენი მიზანი ომის თავიდან არიდებაა“, — აღნიშნა პომპეომ. ირანსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით 14 სექტემბრის შემდეგ გამწვავდა, როცა საუდის არაბეთში ორ ნავთობტერმინალზე თავდასხმა განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ პასუხისმგებლობა იემენელმა ჰუსიტებმა აიღეს, აშშ და საუდის არაბეთი მომხდარში ირანს ადანაშაულებენ. თეირანი ბრალდებას უარყოფს. მაგრამ ვაშინგტონმა ირანს 20 სექტემბერს ახალი სანქციები მაინც დაუწესა.

როგორი იქნება პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა?

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურას ადგენს. კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მეორე დღეს. დოკუმენტის თანახმად, უმაღლეს რადას პრეზიდენტის გადაყენების უფლება მხოლოდ მის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში აქვს, მათ შორის სახელმწიფო ღალატის.

ზელენსკის მიერ ხელმოწერილი კანონის თანახმად, რადამ უნდა შექმნას სპეციალური საგამოძიებო კომისია პრეზიდენტის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტისა და გარემოებების გამოსაძიებლად. კომისიის სხდომა უნდა იყოს ღია იმ შემთხვევის გარდა, როდესაც განხილული ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს. პრეზიდენტისთვის ბრალის წარდგენის გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პარლამენტმა უნდა მიმართოს საკონსტიტუციო და უზენაეს სასამართლოებს, მათი დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დეპუტატები კენჭს უყრიან პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს.

პუტინმა აფხაზების შეიარაღება დაიწყო

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მიზნით, ხელშეკრულების გაფორმების განკარგულება გასცა.

ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილებით, ოკუპირებული აფხაზეთის სამხედრო ძალების მოდერნიზების ხარჯებს რუსეთი დააფინანსებს. დოკუმენტის ხელმოწერამდე, მოსკოვი და ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმი მოლაპარაკებებს გამართავენ. საქართველოს ოკუპირებული რეგიონი რუსეთის ხელისუფლებამ დამოუკიდებლად 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა.

საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთებზე აზომვითი სამუშაოები ჩატარდება

საქართველოსა **და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიების ექსპერტთა შეხვედრის მეორე ეტაპი დაიწყო,** — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, შეხვედრის ფარგლებში ორი ქვეყნის კომისიების ექსპერტები დაათვალიერებენ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის ხაზის დარჩენილ მონაკვეთებს და გეოდეზიურ-აზომვით სამუშაოებს ჩაატარებენ.

„2019 წლის 23 სექტემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიების ექსპერტთა პირველი შეხვედრა გაიმართა მიმდინარე წლის 19-23 აგვისტოს პერიოდში.

ექსპერტების მიერ სამუშაოები დაგეგმილია 27 სექტემბრისთვის, რომლის შემდგომ, ექსპერტთა მუშაობის შედეგები განსახილველად წარედგინება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის კომისიების მომდევნო სხდომას, რომელიც გაიმართება ქ. თბილისში ახლო მომავალში. კომისიის ჩატარების ზუსტი თარიღი მხარეებს შორის შეთანხმდება დიპლომატიური არხების მეშვეობით“, — აღნიშნულია საგარეო უწყების ინფორმაციაში.

ყინწვისი-გვერძინეთი-ტყემლოვანის საავტომობილო გზა წესრიგდება

საავტომობილო **გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარეობს ადგილობრივი მნიშვნელობის ყინწვისი-გვერძინეთი-ტყემლოვანის საავტომობილო გზის 15.4 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სარეაბილიტაციო მონაკვეთი სოფელ ყინწვისის მიდამოებში იწყება და გვერძინეთის გავლით სოფელ ტყემლოვანამდე გრძელდება.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, აღნიშნული გზა მდინარე ძამას ხეობაში არსებული ეკლესია-მონასტრისთვის ერთადერთი მისასვლელი გზაა. პროექტის ღირებულება 14 489 880 ლარია.

ღვინის საწარმოს სასწორზე იპოვეს მოწყობილობა, რომელიც ყურძნის წონას ხელოვნურად ზრდიდა

„ქრონიკის“ ინფორმაციით, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში სამართალდამცველებმა „კახური ტრადიციული მეურნეობის“ ქარხნის სასწორზე კუსტარულად დამზადებული მოწყობილობა იპოვეს, რომელიც მევენახეებისგან ყურძნის ჩაბარების დროს წონას ხელოვნურად ამატებდა.

მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინ, 23 სექტემბერს პოლიცია იყო მობილიზებული. ყვითელი ლენტით სასწორი შემოსაზღვრეს, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა. სწორედ სამართალდამცველებმა იპოვეს სპეციალური მოწყობილობა, რომლითაც ღვინის მწარმოებელ კომპანიას ზარალი მიადგა. ამ მიზეზით ღვინის კომპანია რამდენიმე საათის განმავლობაში გუშინ პარალიზებული იყო. დღეს დილიდან კი ქარხანამ ყურძნის ჩაბარების პროცესი ისევ განაახლა.

„ქრონიკის“ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. უწყებამ მომხდარზე გამოძიება თაღლითობის მუხლით დაიწყო, რაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებას ან მოტყუებით ქონებრივი უფლების მიღებას გულისხმობს.

ძალოვან უწყებაში აცხადებენ, რომ მომხდარ ფაქტზე ჯერ არავინ დაუკავებიათ და მიმდინარეობს გამოძიება.

სალომე დემურია საუკეთესო მსახიობ ქალად დაასახელეს

ქართველმა **მსახიობმა სალომე დემურიამ ალმათის საერთაშორისო კინოფესტივალზე დიტო ცინცაძის სრულმეტრაჟიან ფილმში „ჩაისუნთქე-ამოისუნთქეში“ შესრულებული ქალის საუკეთესო როლისთვის ჯილდო მიიღო. ინფორმაციას საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი ავრცელებს.**

ფილმში დემურიამ 37 წლის ექიმი ირინეს როლი შეასრულა. სიუჟეტის მიხედვით, ირინე ციხიდან გამოდის და ცდილობს, ცხოვრება სუფთა ფურცლიდან დაიწყოს. სურათის გადაღება იმერეთში, ქალაქ ჭიათურაში მიმდინარეობდა. ფილმი „ჩაისუნთქე-ამოისუნთქე“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმის სცენარისტი ცნობილი ქართველი მწერალი ნესტან კვინიკაძეა. რეჟისორი კი დიტო ცინცაძეა, რომელმაც შანხაის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრანპრი მიიღო. ფილმი საქართველოს, შვედეთისა და რუსეთის კოპროდუქციას წარმოადგენს.

ალმათის საერთაშორისო კინოფესტივალი ყაზახეთის დედაქალაქში უკვე მეორედ ჩატარდა.

საბერძნეთში გაუჩინარებულ ქართველ გოგოს ეძებენ

საბერძნეთში **32 წლის ქართველ გოგოს სალომე გოგინაშვილს ეძებენ. ინფორმაცია დაკარგულის დედამ ნონა კუპრაშვილმა სოციალურ ქსელში გაავრცელა.**

მშობლების ინფორმაციით, სალომე ბოლოს ატიკის მეტროსთან ახლოს იმყოფებოდა.

როგორც ცნობილი გახდა, საქმეს ათენის პოლიცია იძიებს და საქართველოს საკონსულოც საქმის კურსშია.

ᲠᲐ ᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ „ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ“ ᲥᲐᲗᲘᲥᲐᲗᲐᲡ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ - ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪᲘᲡ?

ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲔᲑᲡᲐ და ქალაქის სტუმრებს **მძაფრი, უსიამოვნო სუნი აწუხებთ. განსაკუთრებით — თბილ ამინდში. ზაფხულობით კი მდგომარეობა გაუსაძლისი ხდება.**

სუნი ყველაზე აუტანლად ქალაქის იმ უბნებში იგრძნობა, სადაც ბოლო წლებში ბევრი მრავალსართულიანი სახლი აშენდა. ახალ ბულვარსა და აეროპორტის გზატკეცილთან მცხოვრები ბათუმელები ბოლო რამდენიმე წელია, ზაფხულობით ფანჯრებსაც კი ვერ აღებენ.

— ინასარიძის ქუჩაძე, სუპერმარკეტ „ვილმარტთან“ როდემდე უნდა იყოს მ.....ის სუნი ბათუმის მერიავ? რამე მოიფიქრეთ. წლებია, ვიხრჩობით!

— სამწუხაროდ ბათუმის ცენტრშიც ბევრგან ტრიალებს ეგ „არომატი“

— ნინოშვილის ქუჩაზეცაა სუნი, ყირამალასთან.

— წლებია, ვაპროტესტებ და აზრი? ჯავახიშვილის ქუჩაზე ნაკლები სუნია?

— მართლა კოშმარია!

ეს ბათუმელების ტიპური დიალოგია ამ თემაზე ფეისბუქიდან. „კანალიზაციის სუნის“ შესახებ მოქალაქეები ხშირად წერენ სოციალურ ქსელში და ქალაქის ხელმძღვანელობას უუნარობის გამო დასცინიან.

„პასუხს ვერავინ ვერ გვცემს, საიდან მოდის ეს სუნი. ფაქტია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. მთელ უბანში, მთელ ქალაქში, არა მხოლოდ ჩვენ, დამსვენებლებიც საუბრობენ ამაზე. არ შეიძლება საკურორტო ქალაქში ფეკალიების ასეთი მძაფრი სუნი იდგეს“, — გვეუბნება ახალ ბულვართან, ნინოშვილის ქუჩაზე მცხოვრები ნიკა ძიძიგური.

ამ უბანში როგორც წესი ზაფხულობით ბათუმელები ბინებს აქირავებენ, ეს მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა, თუმცა გაუსაძლისი სუნის გამო, ამ ბოლო დროს დამსვენებლები ნაქირავები ბინებიდან გარბიან.

უსიამოვნო სუნი აწუხებთ ინასარიძის ქუჩაზე მცხოვრებ ბათუმელებსაც, რომლებმაც ქალაქის მერიას რეაგირებისთვის არაერთხელ მიმართეს. ზოგიერთი მათგანი ამბობს, რომ საკანალიზაციო ჭების გაწმენდის შემდეგ სუნი იკლებს, თუმცა მალევე მძაფრდება. **„იხრჩობა ქალაქი. მოქალაქეები ვიხრჩობით ამ კანალიზაციის სუნით. ქალაქი ყარს და პატრონი არავინაა“,** — ამბობს ბათუმელი ჯეკო ნაკაიძე.

ბათუმის მერიის შპს „ბათუმის წყალში“ ირწმუნებიან, რომ სუნის მიზეზი საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობაში არ უნდა ვეძებოთ. „ბათუმის წყლის“ ხელმძღვანელი მარიკა გვიანიძე გვეუბნება, რომ პრობლემას მოძველებული ნაგავსაყრელი ქმნის, რომელიც ბათუმის საერთაშორისო აეროპორტისა და ადლიის დასახლების მახლობლადაა და არა წყალარინების გამწმენდი ნაგებობა ადლიაში.

„იმ ტერიტორიაზე, ადლიაში არსებობდა ჩამდინარე წყლების ძველი გამწმენდი ნაგებობა და მიედინებოდა მთლიანი ქალაქის ჩამდინარე წყლები. ეს ყველაფერი კი ღია სივრცეში იყო, მაგრამ სუნის პრობლემა არ იდგა არასდროს. იმიტომ, რომ ჩამდინარე წყალს გააჩნია თავისი სპეციფიკური სუნი, რომელიც შეიძლება გავრცელდეს ნაგებობის ირგვლივ 100-200 მეტრის რადიუსში“.

მარიკა გვიანიძის თქმით, ნაგავსაყრელის გადატანის საკითხი დაძრულია და ქალაქიდან მოშორებით, ცეცხლაურში, თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელი შენდება. **„დღეს არსებული ნაგავსაყრელის დახურვის შემდეგ მიხვდება მოსახლეობა, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა არ არის სუნის გამომწვევი მიზეზი“,** — ამბობს „ბათუმის წყლის“ ხელმძღვანელი.

ამის ნაკლებად სჯერათ ახალ ბულვართან სუნით შეწუხებულ ბათუმელებს. მათი შეფასებით, საკანალიზაციო სისტემა, რომელიც ორსართულიან სახლებზე იყო გათვლილი, დატვირთვას ვეღარ უძლებს.

მხოლოდ 2018 წელს ბათუმში 457 სამშენებლო ნებართვა გაიცა.

2019 წლის პირველ 6 თვეში კი, აჭარაში გაცემული სამშენებლო ნებართვების საერთო ფართობი მილიონ-ნახევარ კვ. მეტრს აღწევს.

მშენებლობების უდიდესი წილი ბათუმზე მოდის, და როგორც წესი, ახალი შენობები 5 სართულზე დაბალი აღარ არის;

ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ცათამბჯენი კი — 55-სართულიანია.

ეკოლოგი კახა გუჩმანიძეც ფიქრობს, რომ ქალაქში მძაფრი სუნის მიზეზი მხოლოდ მოძველებული ნაგავსაყრელი ვერ იქნება: **„ჰაერის ერთ-ერთი დამაბინძურებელი, რა თქმა უნდა, არის ადლიაში მდებარე ნაგავსაყრელი, მაგრამ არსებული წყალარინების გამწმენდი ნაგებობაც თავისი მოცულობით ვერ უმკლავდება დროულ ფილტრაციას, რაც შესაძლებელი წინაპირობაა, ატმოსფერულ ჰაერში ტოქსინებისა და არასასიამოვნო სუნის ემისიისა“.**

კახა გუჩმანიძე ამბობს, რომ გარემოზე ზედამხედველობის დეპარტამენტი ვალდებულია, ბათუმის ატმოსფერული ჰაერი შეამოწმოს. ცხელ ხაზზე შესული შეტყობინების საფუძველზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა ბათუმის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობა 17 სექტემბერს დაათვალიერა. უწყებაში ამბობენ, რომ ნაგებობის არაგეგმური შემოწმება გადაწყდა და პროცესი 10 ოქტომბრამდე უნდა დასრულდეს. შემოწმების მიზანია, დადგინდეს, რამდენად ასრულებს „ბათუმის წყალი“ გარემოსდაცვით პირობებსა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ᲔᲙᲐ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘ: ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲕᲜᲐᲮᲔ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔ

28 ᲬᲔᲚᲘ **გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წევრი აღარაა. 28 წელია, რაც ქვეყნა ვითარდება ევროპული ღირებულებების მიმართულებით — ამის კარგი მაგალითია ბათუმი, სადაც მიუხედავად პრობლემებისა, უკვე ძალიან ბევრი საერთაშორისო ბრენდული სასტუმროა გახსნილი, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, ტურისტებისთვის შექმნილია გარემო, რითაც ბათუმი დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებს. თუმცა, 28 წელის შემდეგაც NDI-ს კვლევის მიხედვით საქართველოში გამოკითხულთა 39 %-ს საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგია აქვს. ის ადამიანები, რომლებსაც ენატრებათ „იდეალიზებული“ საბჭოთა კავშირი, აუცილებლად უნდა ესტუმრონ ბათუმის საქალაქთაშორისო ავტოსადგურს, სადაც დღემდე დგას სსრკ სახელმწიფო სიმბოლიკის მთავარი და განუყოფელი ნაწილის — ნამგალი და უროს მონუმენტი (მართალია კანონმდებლობით აკრძალულია, მაგრამ აქ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს) და რაც მთავარია, განწყობაც და ინფრასტრუქტურაც სწორედ იმ პერიოდშია ჩარჩენილი.**

აქ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ნაგავი ყრია, სწორედ ამიტომ ტერიტორიაზე აუტანელი სუნია, რის გამოც დიდი ხნით გაჩერება შეუძლებელია. კედლები ნესტისგან დაობებული და ჩამონგრეულია, დალეწილია კედლები და ფანჯრები. შენობაში მზიან ამინდშიც კი ჭერიდან წყალი წვეთავს და მგზავრს გაჩერების საშუალებას არ აძლევს.

ქაოსში გარკვევას ცდილობს 32 წლის ჰანა. ის საქართველოში გერმანიიდან ჩამოვიდა. ტურისტმა დაათვალიერა კახეთი, სვანეთი, რაჭა და ქვემო ქართლი. მისი ბოლო გაჩერება აჭარაა. ადამიანებით, ბუნებით, არქიტექტურით და სამზარეულოთი აღრფთოვანებული ახალგაზრდა ქალი დაბნეული ცდილობს, გაარკვიოს, როგორ მოხვდება ბათუმიდან მაღალმთიან აჭარაში.

„საქართველოს შესახებ ვიცოდი, რომ წლების წინ საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა იყო, თუმცა 10 დღის განმავლობაში ეს მე ვერ შევამჩნიე. ძალიან ბევრი კარგი ადგილი ვნახე, აღფრთოვანებული და შეყვარებული ვარ ამ ქვეყნაზე, მაგრამ, რაც აქ ხდება, ეს საშინელებაა. ყველგან ტუალეტის სუნი დგას, სწორედ ასეთი წარმომედგინა საბჭოთა კავშირი - ბნელი და ბინძური და ის მე ბათუმის ავტოსადგურში ვნახე. აქ გაჩერება შეუძლებელია, ნახევარ საათში ჩემი სამარშუტო ტაქსი გადის და სად დაველოდო, ისიც კი არ ვიცი. საკვები ობიექტებიც კი საშინლად გამოიყურება. იმედი მაქვს, აქ არსებული ვითარება უახლოეს მომავალში შეიცვლება, რადგან ეს ადგილი დღეს ბათუმის სირცხვილია.

საქალაქთაშორისო ავტოსადგურის 31 პროცენტი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინიტროს ეკუთვნის. „კომერსანტი“ დაინტერესდა, რა გეგმები აქვს სახელმწიფო უწყებას ავტოსადგურთან დაკავშირებით. სამინისტროს პრესამსახურმა საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გააკეთა. განგვიცხადეს, რომ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი და მინისტრის მოადგილე შეხვედრაზე არიან და საუბარს ამ ეტაპზე ვერ შეძლებდნენ, თუმცა, შემდეგ პრესსამსახურმა ტელეფონი გამორთო.

ამ თემაზე "კომერსანტი" ადრეც წერდა. მაშინ უწყებაში აცხადებდნენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიის ეფექტურად განვითარება, თუმცა, ერთი წლის შემდეგაც ბათუმის ავტოსადგურში ვითარება მხოლოდ გაუარესდა.

ტერიტორიაზე ერთი წლის წინანდელი სურათი რომ არ შეცვლილა, ადასტურებს **ბათუმის საქალაქთაშორისო ავტოსადგურის დირექტორი ზაურ სოლომონიძეც**. მისი თქმით, ინვესტორის მოძიებაზე ამ დრომდე მუშაობენ, თუმცა, იმის გამო, რომ სახელმწიფოს ავტოსადგურში წილი აქვს, ინვესტორები თანხის ჩადებაზე უარს ამბობენ.

ბათუმის ავტოსადგურის მოვლა-პატრონობის შესაძლებლობა და სურვილი არც სახელმწიფოს აქვს და არც კერძო მფლობელს, პასუხიმგებლობას გაურბის ყველა. როგორც ჩანს, ბათუმის დანგრეული და ბინძური ავტოსადგური ჩვენი გერმანელი ტურისტის მსგავსად, კიდევ ბევრ ვიზიტორს დაამახსოვრდება.

ᲑᲐᲩᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐ

◎ ტრიუმფი

თავისუფლების ნურსულთანი



რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მორკინალებმა, როგორც ვწერდით, ყაზახეთის დედაქალაქ ნურსულთანის საჭიდაო ხალიჩაზე წარმატებით ჩაამთავრეს მსოფლიოს ჩემპიონატი — ორი ოქროს, ერთი ბრინჯაოს მედალი და 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ორი ლიცენზია მოიპოვეს. შეგახსენებთ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნუგზარ წურწუმია (55 კგ) და ლაშა გობაძე (82 კგ), ბრინჯაოს მედალი და ტოკიოს საგზური ხვდა იაკობ ქაჯაიას (130 კგ), ხოლო მეორე ლიცენზია 97 კილოში გიორგი მელიამ დაიმსახურა.

გასულ უქმეებზე მსგავს წარმატებას თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მიაღწიეს. საქართველოს დელეგაციას პირველი „ოქრო“ 25 წლის გორელმა ფალავანმა გენო პეტრიაშვილმა მოუტანა. იგი რიოს 2016 წლის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორია, ევროპის ჩემპიონატებში თითო ოქროს და ვერცხლის ჯილდო აქვს მოპოვებული. მსოფლიოს პირველობების ორგზის ბრინჯაოს (2013, 2015) პრიზიორმა ტრიუმფალური სვლა 2017 წლიდან დაიწყო, როცა პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, შარშან კი ტიტული შეინარჩუნა.

და აი, 2019 წელი. რამდენიმე თვის წინათ ნაოპერაციევმა, მაგრამ უკვე რეაბილიტაციაგავლილმა და სასპორტო კონდიციებაღდგენილმა პეტრიაშვილმა ნურსულთანის საჭიდაო ხალიჩაზე პირველ შეხვედრა კოსოვოელ ეგზონ შალას მოუგო (13:2), მერე მის გზას გაუყენა სირიელი ბაჯა ხუტაბა (14:4) და ნახევარფინალში უკრაინელი ოლექსანდრ ხოციანივსკი 6:2 დაამარცხა. გადამწყვეტ პაექრობაში იგი რიოს 2016 წლის ოლიმპიადის ჩემპიონ ტაჰა აქგულს დაუპირისპირდა. ორთაბრძოლა დაძაბული და დრამატული აღმოჩნდა: თავიდან თურქმა მოჭიდავემ ჩვენებური ორჯერ გადაიყვანა ჩოქბჯენში და 4:0 დაწინაურდა. პაექრობის მეორე ნახევარში პეტრიაშვილმა წონასწორობა აღადგინა, თუმცა, გონგამდე 39 წამით ადრე აქგულმა კონტრილეთით ორი ქულა მიითვალა და ისევ წინ გავიდა — 6:4. დარჩენილ დროში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გააქტიურდა და ზედ ორთაბრძოლის მიწურულს ისევ გაათანაბრა ანგარიში, რაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ მესამედ ასასვლელად და ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა.



ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გენო პეტრიაშვილმა სოციალურ ქსელში პოსტი გამოაქვეყნა — გულშემატკივრებს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ ის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზეც ოქროს მედლის მოპოვებას შეეცდება.

„თქვენი მხარდაჭერა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს მეხმარება იმაში, რომ ზღვარს გადავაბიჯო და მიზნებს მივაღწიო. ბოლომდე დავიხარჯები და გავაგრძელებ ვარჯიშს იმისთვის, რომ იგივე შედეგი ტოკიოშიც გავიმეორო. ეს ჩემი მომდევნო დიდი მიზანია“! — წერს პეტრიაშვილი.

ყაზახეთში გენოს ჩემპიონობამდე 92 კილოში მესამე ადგილი დაიკავა ირაკლი მწითურმა. სტარტზე მან უნგრელი ბენდეგუზ ტოტი 8:0 დაამარცხა; მერე იაპონელ ტაკუმა ოცუსაც მშრალი ანგარიშით (5:0) სძლია; ნახევარფინალი ამერიკელ მაიკლ კოქსთან დათმო (0:3) და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ყაზახ ნურგალი ნურგაიპულის დაძაბულ შეხვედრაში 2:1 აჯობა.

61 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იჭიდავა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ბექა ლომთაძემ, რომელმაც ზედიზედ დაჯაბნა მოლდოველი მიჰაი ესანუ (10:0), ამერიკელი ტაილერ გრაფი (3:1), ინდოელი რაჰულ ბალასაჰებ ავარე (10:6) და ფინალში გავიდა, სადაც მაგომედრასულ იდრისოვს (რუსეთი) შეხვდა. პირველ პერიოდში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა ერთადერთი ქულა ჩვენებურის გაფრთხილების ხარჯზე მოიპოვა, მაგრამ მეორე პერიოდში ქართველმა ფალავანმა მეტოქეს 6 ქულა აართვა და ოქროს მედალიც დაიმსახურა.

ელიზბარ ოდიკაძეს 97 კილოში ბრინჯაოს მედლამდე ერთი შეხვედრის მოგებაღა დააკლდა - მესამე ადგილისთვის პაექრობა ამერიკელ ოლიმპიურ ჩემპიონ კაილ ფრედერიკ სნაიდერთან წააგო (0:5), თუმცა, 2020 წლის ოლიმპიური თამაშების საგზური მაინც დაიბევა.

ლექსო ციწცაძე

◎ ფარიკაობა

სანდრო და ლიკა პირველები არიან

ბულგარულმა პლოვდივმა მოხმალავეთა მსოფლიოს თასის (სატელიტი შეჯიბრება) გათამაშებას უმასპინძლა. ტურნირში საქართველოს ორი წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომლებიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

სანდრო ბაზაძემ ჯგუფურ რაუნდში ექვსიდან ხუთი ორთაბრძოლა მოიგო — ზედიზედ დაამარცხა ივაილო ალექსანდროვი (ბულგარეთი), ანგელ ვალკოვი (ბულგარეთი), სეზარ ბიალეცკი (პოლონეთი), მუჰამედ ანასიზი (თურქეთი), კონსტანტინ ბონფელდი (ისრაელი) და მხოლოდ მასპინძელ ივან მანდოვთან დათმო ერთი პაექრობა. სამაგიეროდ, პლეი-ოფში დაჯაბნა თურქი მუჰამედ ანასიზი — 15:4 და არგენტინელი ივან სტეფანო ლუკეტი —15:7; ნახევარფინალში სანდრომ თურქ ენვერ ილდირიმს 15:11 აჯობა, ფინალში კი დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ჯეიმს ჰონეგბონს მოუგო — 15:8. მესამე ადგილებზე ენვერ ილდირიმი (თურქეთი) და ალბერტო არპინო (იტალია) გავიდნენ. მსოფლიოს კლასიფიკაციაში 127 ქულით სანდრო ბაზაძე მე-8 ადგილზეა.

ქართველ მოფარიკავეთა ლიდერს მხარი აუბა 19 წლის ლიკა ჯიჯეიშვილმა. ჯგუფში მან ექვსი მეტოქე დაამარცხა — კალინა ათანასოვა (ბულგარეთი), ლიზა ვან დერ ლინდე (ჰოლანდია), დელია ჩირკა (რუმინეთი), იოანა ილიევა (ბულგარეთი), ნე ლიი (სინგაპური) და აილინ შაქირი (თურქეთი). ქართველმა მოხმალავემ წარმატებათა სერია პლეი ოფშიც განაგრძო: აზერბაიჯანელი აისელ აჰადოვა — 15:9, მოლდოველი ნატალია ბუგაევსკაია — 15:6, არგენტინელი მარია პერეს მორისი — 15:9, თურქი ირინა შჩულკა — 15:9, აზერბაიჯანელი ანა ბაშტა — 15:12 ჩამოიშორა გზიდან და პირველი ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედლები იოანა ილიევასა და ირინა შჩულკას ერგოთ.

ლაშა დიდია

◎ წინ, საქართველოვ!

ქართული გენის ძალა აღმართის ხნავს!

რამდენიმე დღეა, ადგილს ვერ ვპოულობ: თვალები სიხარულის ცრემლით, გული კი სიამაყის გრძნობით მაქვს სავსე!

ჩემი ხნის კაცს, რომელიც ქართველ სპორტსმენთა უამრავ ტრიუმფს მოვსწრებივარ და დიდ წარმატებებში თავადაც შემიტანია მოკრძალებული წვლილი, არ მეგონა, ასე ძალუმად კიდევ რამე თუ ამაღელვებდა და აღმაფრთოვანებდა.

ჩვენმა ფალავნებმა, ერთი კვირაა, ძილი დამიფრთხეს!

36 ოლიმპიური ჩემპიონის (აღარაფერს ვამბობ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების უთვალავ გამარჯვებულზე) აღმზრდელი საქართველოს ათლეტებს წარმატების მეტი რა მოუპოვებიათ, მაგრამ ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი მოგებული ფინალი, ოლიმპიური თამაშების ოთხი საგზური და ორი ბრინჯაოს მედალი?! ასეთი რამ დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიას არ ახსოვს! ეს ისეთი გამარჯვებაა, ნებისმიერი ზესახელმწიფო რომ ინატრებდა!

თქვენ გენაცვალეთ, ჩვენო საამაყო ბიჭებო!

ჩემო გენო, პეტრიაშვილო, შენით დავიწყებ! ფუტკარივით შრომისმოყვარე და თავმდაბალო კაცო, ალალია შენზე მსოფლიოს ჩემპიონატების ზედიზედ მესამე ოქროს მედალი. სასწაული მოახდინე ნურსულთანის საჭიდაო ხალიჩაზე! შესაშური სტაბილურობის მორკინალი ხარ და მჯერა, რომ გაისად ტოკიოში უმაღლესი სინჯის ჯილდოთი გაგვახარებ!

ყაზახეთის დედაქალაქში მოპოვებულ დიდ წარმატებას ვულოცავ ჩვენს დანარჩენ ჩემპიონებსა და პრიზიორებს — ნუგზარ წურწუმიას, ლაშა გობაძეს, ბექა ლომთაძეს, იაკობ ქაჯაიას, ირაკლი მწითურს, გიორგი მელიასა და ელიზბარ ოდიკაძეს, მათს მწვრთნელებს, სამედიცინო პერსონალსა და მთლიანად ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას.

გიხაროდენ, საქართველოვ!

ტრადიცია გრძელდება! შენი გენის ძალა ისევ ხნავს აღმართს და მჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება!

გურამ სალარაძე,
ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ტოკიოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი, ფსკ „დინამოსა“ და საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე

◎ ძიუდო

თუშიშვილმა გრან-პრი მოიგო

ქართველმა ძიუდოისტმა გურამ თუშიშვილმა (+100 კგ) უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში შესანიშნავად იასპარეზა გრან პრიზე — ჯერ ყაზახ იერასილ კაჟბაიევს მოუგო, მერე მასპინძელი ალიშერ იუსუპოვი და უკრაინელი იაკივ ხიამო დაამარცხა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი უზბეკი ბეკმუროდ ოლტიბოევი დაჯაბნა და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ტაშკენტის გრან პრიზე 90 კგ წონით კატეგორიაში ლაშა ბექაურმა ალჟირელ აბდერაჰმან ბენამადის, სომეხ არსენ ხანძიანსა და ბრიტანელ ჯამალ პეტგროუს აჯობა, მაგრამ მერე ორი ორთაბრძოლა დათმო რუსეთელ ხუსეინ ხალმურზაევსა და იაპონელ მაშუ ბაკერთან, რამაც უმედლოდ დატოვა.

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ეკატერინე გორგოძის ფრანგული წარმატება

საფრანგეთში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 60.000 დოლარი) წყვილთა შეჯიბრებაში შესანიშნავად ითამაშა თბილისელმა ეკატერინე გორგოძემ. ჩვენებურმა მარინა ზანევსკასთან (ბელგია) ერთად ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვა: დაამარცხა ესპანელები — ლუსია კორტეს ლორკა და როზა ვისენს მასი — 6:0, 6:2, ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტები — ირინა მარია ბარა (რუმინეთი) და მენდი მინელა (ლუქსემბურგი) — 6:3, 2:6, 10:5, მასპინძლები — ევა გერერო ალვარესი და გუიმარ ზულეტა დე რაეალესი — 6:1, 6:1. გადამწყვეტ პაექრობაში გორგოძემ და ზანევსკამ ასპარეზობის მესამე ნომრებს — ალიონა ბოლშოვა ზადოინოვასა (ესპანეთი) და ტერეზა მდრეზას (ხორვატეთი) სძლიეს — 6:7, 7:5, 10:8 და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

თამაზ პატარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მსხვერპლად შეწირული საბრძოლო ნათლობა

მსოფლიო თასის სასტარტო შეხვედრა მილტონ ჰეიგმა სტრატეგიული ნაბიჯის გადასადგმელად გამოიყენა და უშუალო კონკურენტ ურუგვაისთან და, განსაკუთრებით, ფიჯისთან ბრძოლების წინ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე მარქაფაში დატოვა.

რამდენად გაამართლებს „ბორჯღალოსანთა“ ზელანდიელი თავკაცის ასეთი ექსპერიმენტი, ამას იაპონური ფორუმის მსვლელობისას შევიტყობთ, თუმცა, ოპტიმიზმის საფუძველს გამოკვეთილ ფავორიტ უელსთან მატჩის მეორე ნახევარში განვითარებული მოვლენები გვაძლევს, როცა მინდორზე გამოსულმა ლიდერებმა პარტნიორები აიყოლიეს და მრისხანე მეტოქეს არა მარტო ორი ლელო დაუდეს (მამუკაშვილი, ჩილაჩავა), არამედ ტაიმი ფრედაც კი დაასრულეს.

ვიმედოვნებთ, ერთი შეხედვით დიდი ანგარიში — 43:14 ჩვენი გუნდის ამბიციებზე დამთრგუნველად არ იმოქმედებს და ბიჭებს, პირიქით, საკუთარი ძალების რწმენას განუმტკიცებს.

მოკლედ, მეორე ტურში 29 სექტემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრების ქომაგებს სრული საფუძველი გაგვაჩნია სამხრეთამერიკელებთან პირველი გამარჯვება მოვიპოვოთ.

კობა კობახიძე

◎ პირველად საქართველოში

გინესის რეკორდსმენის მასტერკლასი

თბილისის ზღვაზე, ისტორიაში პირველად, ცურვის საერთაშორისო ფესტივალი ჩატარდა. ოფიციალური გახსნის ცერემონიალის შემდეგ შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

პროფესიონალ თუ მოყვარულ მოცურავეებს წარმატებული ასპარეზობისთვის 1850 მეტრიანი, 3 და 7 კმ-იანი დისტანციის გავლა მოუწიათ. ცუდი ამინდის და დაბრკოლებების გამო რამდენიმე მონაწილე ბრძოლას დასაწყისშივე გამოეთიშა. ყველაზე რთული, 7 კმ-იანი დისტანციის გამარჯვებული არტემ შინკევიჩი გახდა, რომელმაც მიზანს საათსა და 10 წუთში მიაღწია.

ცურვის ფესტივალის ყველაზე პატარა მონაწილე 14 წლის, ხოლო ყველაზე ასაკოვანი 76 წლის იყო, ერთ-ერთმა მათგანმა კი შეჯიბრების დასრულების შემდეგ მეგობარ გოგოს ხელი სთხოვა. ფესტივალის ბოლოს გინესის რეკორდსმენმა ჰენრი კუპრაშვილმა უცხოელ მონაწილეებს ძველი ქართული ცურვის სტილი — ხელ-ფეხ შეკრული კოლხური აჩვენა.

ღონისძიების ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ საქართველოში ცურვის ფესტივალი ტრადიციად იქცევა.

სანთელი

თამაზ მიქაძის არდავიწყება

ორმოცი დღე გასრულდა ცნობილი ბიზნესმენის, შესანიშნავი მამულიშვილის, ძვირფასი ოჯახის თავკაცის, მეგობრების და ახლობლების უანგარო მოამაგის **თამაზ მიქაძის** გარდაცვალებიდან.

ბატონი თამაზი სათავეში ედგა თავისივე დაფუძნებულ „ტ.მ. კომპანიის“, რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია ათეული წლების მანძილზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისრაელში.

ბატონი თამაზი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა საინჟინრო საქმიანობით საბჭოთა მისიებში სირიასა და ალჟირში. მისი სპონსორობით გამოიცა უერთგულესი მეგობრის, პროფესორ თემურ პეტრიაშვილის რამდენიმე პატრიოტული შინაარსის წიგნი.

დიდებული ადამიანის და მოქალაქის, შესანიშნავი მეგობრის, უკეთილშობილესი მამულიშვილის თამაზ მიქაძის ხსოვნა მარად დარჩება ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების გულში.

მეგობრები

ლაგოდეხის მერიამ 5 ახალ ავტომობილში 201 ათასი ლარი გადაიხადა

ლაგოდეხის მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნები ამიერიდან ახალი ავტომობილებით გადაადგილდებიან. მერიამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 201 ათას ლარად 5 მანქანა შეიძინა. „რენოს“ მარკის ავტომობილებით, რომელიც 2019 წელს არის გამოშვებული, ისარგებლებენ მერის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარე, ინფრასტრუქტურისა და ინსპექტირების ჯგუფები. მერი ჯონდო მდივნიშვილი ამბობს, რომ ახალი მანქანებიდან სამი უკვე ადგილზეა, ორს კი უახლოეს დღეებში ელოდებიან.

„მუნიციპალიტეტი იწყებს ავტოპარკის განახლებას. ტენდერის საფუძველზე შერჩეული ავტომობილები არ არის მაღალი კლასის. ის„რენოს“ მარკის მანქანებია. ჩვენ 2 ავტომობილი ძველი ავტოპარკიდან უკვე გავყიდეთ. ახლების შესაძენად თანხა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი და ეს ასახულიყო 2019 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. 5 ავტომობილის შეძენაზე მუნიციპალიტეტმა დახარჯა 201 ათასი ლარი“, — განაცხადა ჯონდო მდივნიშვილმა.

ლაგოდეხის მერს ვკითხეთ, რამდენად გამართლებულია ავტოპარკის განახლება 2019 წელს გამოშვებული მანქანებით იმ ფონზე, როცა მუნიციპალიტეტის ბევრ სოფელს დაბინძურებული სასმელი წყალი მიეწოდება, არ არის გზები და მოშლილია სხვა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ინფრასტრუქტურა. მერის თქმით, მანქანები სწორედ იმიტომ იყიდეს, რომ მერია საზოგადოებას ხარისხიანად მოემსახუროს. მერი განმარტავს, რომ მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ავტოპარკის შენახვა ადგილობრივ ბიუჯეტს იმაზე მეტი უჯდებოდა, ვიდრე ახალ მანქანებში გადაიხადეს. მერი იმასაც ამბობს, რომ **„ახალი მანქანების შეძენით მნიშვნელოვნად შემცირდება საწვავის ხარჯები, ვინაიდან ახალი მანქანები მუშაობს დიზელზე და ის მოიხმარს 4-5 ლიტრ საწვავს 100 კმ-ზე“.**

„ეს თანხა გადავიხადეთ იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტს სჭირდებოდა იმ მიზნებისთვის, რაც გააჩნია. წელს ლაგოდეხში ხორციელდება, დაახლოებით, 155-მდე პროექტი. ამას უნდა დამენეჯმენტება და კონტროლი. ავტომობილები უნდათ იმ სამსახურებს, რომლებიც მისასვლელები არიან ა წერტილიდან ბ წერტილში იმისათვის, რომ დროულად მოხდეს სამუშაოებზე კონტროლი. ხშირია შემთხვევები, როდესაც დანიშნულების ადგილამდე ვერ მიდიან ძველი ავტომობილებით. 17,20, 30 წლის ავტომობილების ექსპლუატაციას სჭირდება ძალიან დიდი თანხები“.

ჩვენ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილსაც ვკითხეთ, რას ფიქრობენ მერიაში ავტოპარკის განახლებაზე. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს. ისინი თვლიან, რომ **„200 ათას ლარად მერიას შეეძლო ქუჩები და პარკები მოეწესრიგებინა, სოფლებში კი წყლის პრობლემა მოეგვარებინა“.**

ზოგი გამოკითხული, პირიქით, მერიას ამ გადაწყვეტილებას უწონებს და ამბობს, რომ **„თუკი საჭირო იყო, მანქანები უნდა ეყიდათ“.**

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ლაგოდეხი არ არის ერთადერთი ქალაქი, სადაც ახალი მანქანები იყიდეს. თებერვალში საგარეჯოში, ყვარელსა და სიღნაღშიც ახალი ავტომობილები შეიძინეს, რაშიც ბიუჯეტიდან 200 ათას ლარზე მეტი გადაიხადეს. გეგმავენ თუ არა კახეთის სხვა მუნიციპალიტეტებიც ავტოპარკის განახლებას, ჯერ ცნობილი არ არის. ნიშანდობლივია, რომ ახალი მანქანების შეძენისას მუნიციპალიტეტის პირველი პირები, როგორც ჩანს, 2018 წლის 30 მარტის მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს ითვალისწინებენ და შავი ფერის მანქანებს აღარ ყიდულობენ. ამ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც **„სახელმწიფოს მიერ შეძენილი ყველა კლასის ავტომობილი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, გარდა შავისა“,** ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი.

გიორგი ალადაშვილი

დემონსტრაცია აბორტის წინააღმდეგ

სლოვაკეთის **დედაქალაქ ბრატისლავაში ათობით ათასმა ადამიანმა აბორტის აკრძალვის მოთხოვნით დემონსტრაცია გამართა. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „რეიტერი“ (Reuters) ავრცელებს.**

აბორტის შესახებ კანონი სლოვაკეთში შედარებით ლიბერალურია ისეთი ქვეყნებისგან გასხვავებით, როგორებიცაა პოლონეთი და მალტა, სადაც ევროკავშირის ფარგლებში აბორტის შესახებ ყველაზე მკაცრი შეზღუდვები არსებობს.

სლოვაკეთში აბორტი სურვილის მიხედვით ნებადართულია ფეხმძიმობის 12 კვირის ვადამდე, მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაშვებულია 24 კვირის ვადამდეც.

სლოვაკეთის პარლამენტი მიმდინარე თვეში აბორტის შესახებ კანონმდებლობის გამკაცრების საკითხის განხილვას იწყებს. კონსერვატორი და ულტრამემარჯვენე კანონმდებლები ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ნებადართული ვადის 6-8 კვირამდე შემცირებას, ან საერთოდ აკრძალვას ითხოვენ.

სააგენტო „ფოკუსის“ გამოკითხვით, სლოვაკეთში რესპონდენტთა 55,5% არ უჭერს მხარს აბორტის შეზღუდვას, 34,6% კი აღნიშნული ინიციატივის მომხრეა.

ტრაგედია ნაირობიში

კენიის **დედაქალაქ ნაირობიში ერთ-ერთი სკოლის ჩამონგრევის შემდეგ, მაშველებმა ნანგრევებიდან 64 მოსწავლე ამოიყვანეს. მათ სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებები აქვთ მიღებული.**

ტრაგედიას შვიდი მოზარდი ემსხვერპლა.

ინციდენტი კენიის დედაქალაქში გუშინ სასწავლო პროცესის დაწყებიდან მალევე მოხდა. თუმცა, მისი გამომწვევი მიზეზი ამ დროისთვის უცნობია.

პრეზიდენტისა და პრემიერის ფოტოები... საფლავებზე

საფლავებზე **რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის, პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევისა და სხვა რუსი ოფიციალური პირების ფოტოების გაკრვის გამო სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**

რუსული მედიის ცნობით, ლუთერანული სასაფლაოს ჯვრებზე რუსი მაღალჩინოსნების შავლენტიანი ფოტოები 19 სექტემბერს გამოჩნდა. ისინი მალევე აიღეს. სისხლის სამართლის საქმე წინასწარი განზრახვით სასაფლაოს ჯგუფურად წაბილწვის მუხლით აღიძრა, რომელიც ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

რუსული მედიის ცნობით, სანქტ-პეტერბურგის პოლიციამ 22 სექტემბერს დააკავა პუტინის პროპაგანდასთან მებრძოლი ინტერნეტარხის „აგიტროსიის“ სამი აქტივისტი. მოგვიანებით ორი მათგანი მოწმის სტატუსით გაათავისუფლეს, ერთი ეჭვმიტანილი კი, იზოლატორში რჩება. აქტივისტები აცხადებენ, რომ სასაფლაოს ტერიტორიას არც კი მიახლოებიან და ალიბი აქვთ.

ოჯახის წევრები ფულის გარეშე დატოვა

სასტუმრობის **ქსელის Hilton-ის მფლობელი ბარონ ჰილტონი 91 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამის შესახებ მისი შვილიშვილი პერის ჰილტონი მიკრობლოგ „ტვიტერში“ წერს.**

„ის იყო ლეგენდა, მეოცნებე, ბრწყინვალე, ლამაზი, კეთილი და გაატარა მიღწევებითა და თავგადასავლებით სავსე ცხოვრება“, — წერს პერის ჰილტონი.

ჰილტონმა აღნიშნა, რომ ბავშვობიდან ყოველთვის იღებდა მაგალითს ბაბუამისისგან, როგორც ბიზნესმენისგან.

ბარონი სასტუმროების ქსელის დამფუძნებლის კონრად ჰილტონის შვილი იყო. 30 წლის განმავლობაში ის Hilton Hotels Corporation-ის გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა. თავისი კარიერის განმავლობაში მან სასტუმროების რაოდენობა გაზარდა და მილიარდერი გახდა.

2007 წელს ბარონმა განაცხადა, რონ მამის კვალს გაყვებოდა. მან თავისი ქონების 97 პროცენტი, რომელიც იმ მომენტისთვის 2,3 მლრდ დოლარად იყო შეფასებული, კონრად ჰ. ჰილტონის ფონდს დაუტოვა. ამგვარად, ბარონმა თავისი ოჯახის წევრებს მის მიერ გამომუშავებულ ფულზე პრეტენზიის ყოველგვარი უფლება ჩამოართვა.

სარკოფაგს რესტავრაცია ჩაუტარდება

ეგვიპტის **მეფის ტუტანჰამონის სარკოფაგს, აღმოჩენის შემდეგ პირველი რესტავრაცია ჩაუტარდება. ამის ამსახველი ვიდეო Blomberg-bc Twitter-ის გვერდზე გავრცელდა. მისი გარე ოქროს ფასადი სრულად აღდგება.**

სარკოფაგი ეგვიპტის მუზეუმში 6 კვირის წინ გადაიტანეს. სავარაუდოდ, პროცესს მთლიანობაში 7-8 თვე დასჭირდება. სარკოფაგის სხვა არტეფაქტები ეგვიპტის მუზეუმში გამოიფინება, რომლის ნახვა 2020 წლისთვის იქნება შესაძლებელი.

ტუტანჰამონის სარკოფაგი ეგვიპტეში 1922 წელს აღმოაჩინეს და მას შემდეგ რესტავრაცია პირველად უტარდება.

ნემსები მარწყვში

„მარწყვების **საქმიდან“ ერთი წლის შემდეგ ავსტრალიელებმა კენკრაში ნემსები კვლავ აღმოაჩინეს. ამის შესახებ ადგილობრივი The Age-ი წერს.**

გამოცემის ინფორმაციით, შემთხვევა შტატ ვიქტორიაში მოხდა. დაზარალებულმა ქალმა ნემსი ტორტის მოსამზადებლად ნაყიდ მარწყვში იპოვა.

„შოკში ვიყავი, არ მჯეროდა. ჩემ შვილებს მარწყვი ხელში ეჭირათ, ჭამას აპირებდნენ. უბრალოდ გაგვიმართლა, რომ ნემსიანი კენკრა სწორედ მე შემხვდა“, — ამბობს დაზარალებული.

შტატის პოლიციის ინფორმაციით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ეს უკვე მეორე მსგავსი შემთხვევაა.

2018 წლის სექტემბერში ავსტრალიის სუპერმარკეტებში მარწყვში ნემსების და ქინძისთავების აღმოჩენის 186 შემთხვევა დაფიქსირდა.

მომხდართან დაკავშირებით მარწყვის ფერმის ზედამხედველი ქალი დააკავეს, რომელიც ახლა პატიმრობაშია და სასამართლოს ელოდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9759; ევრო - 3.2860;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7223;
100 რუბლი - 4.6659; თურქული ლირა - 0.5225;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7526;
1000 სომხური დრამი - 6.2519.

ამინდი 24 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge